

დამატებითი შესრულების, ხელშეკრულებიდან გასვლისა და ფასის შემცირების მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობაში (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით)

პასტანგ ბაჩიაშვილი*

I. შესავალი

სახელშეკრულებო ურთიერთობები არის კერძო სამართლის ფუძემდებლური ინსტიტუტი. კერძო ავტონომია¹ ყველაზე მეტად ამ სფეროში იჩენს თავს, რაც განსაკუთრებით მიმზიდველია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთათვის, თუმცა მისი გადაჭარბებული გამოყენების თავიდან ასაცილებლად კანონმდებელი განამტკიცებს ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პრინციპს², ამ პრინციპის დარღვევის შემთხვევაში კი ანებს პასუხისმგებლობის შესაბამის ზომებს.

პასუხისმგებლობის ზომების შესწავლა სახელშეკრულებო სამართლის ამოცანაა, რადგან სამართლის ეს დარგი არსებითად მიმართულია არა ვალდებულების სრული შესრულების დეტალური რეგლამენტაციის, არამედ ვალდებულების დარღვევისას მხარის შელახული ინტერესის დაცვაზე. სახელშეკრულებო სამართლის მომწესრიგებელი ნორმები ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილეებს სთავაზობენ დაცვის ალტერნატიულ საშუალებებს, რომელთა არჩევა მათ ნებაზე ან კანონის მოთხოვნაზეა დამოკიდებული.

ცალკეულ ხელშეკრულებათა მომწესრიგებელი ნორმები მიმართულია ვალდებულების ჯეროვანი შესრულების კონკრეტიზაციისაკენ და ზოგადი ნაწილის ნორმებისგან იზოლირებულიად ან მათთან კომბინაციით ანებს გარკვეულ მოთხოვნებს ვალდებულების დამრღვევი მხარის მიმართ.

პასუხისმგებლობის ზომების განსაზღვრა კერძო სამართლისათვის ახალი არ არის. რომის სამართალი გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას არ მიიჩნევდა შესრულებულად, თუ ნივთი ისეთი სახით გადაეცა მყიდველს, რომ მისი გამოყენება დანიშნულებისამებრ შეუძლებელი იყო, ან, თუ ნივთი ნაკლის გამო გაუფასურდებოდა³. კერძო სამართლის განვითარებასთან ერთად იხვეწება მეორადი მოთხოვნის უფლებათა სისტემა ნასყიდობის სამართლის ფონზე, რადგან იგი დღემდე იკავებს დომინირებულ ადგილს სამოქალაქო ბრუნვაში.

სწორედ ამიტომ წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის საგანია მეორადი მოთხოვნის უფლებები ნასყიდობის ხელშეკრულებაში (გარდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისა). კონკრეტულად ნასყიდობის ხელშეკრულება სამი ძირითადი ფაქტორის გამო შეირჩა:

1. ნასყიდობის ხელშეკრულება ყველაზე გავრცელებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებაა, რომელთან შეხებაც ხშირად უწევს თითოეულ ადამიანს და ამიტომ უფრო მაღალია უფლებათა დარღვევის ალბათობა;

* თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრი.

¹ კერძო ავტონომიასთან დაკავშირებით იხ. *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, 57.

² სსკ-ის 361-ე მუხლის II პუნქტი.

³ *Новицкий*, Римское право, http://society.polbu.ru/novitsky_pravo/ch62_iii.html, 25.02.2008.

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ)⁴ მეოთხე წიგნი იწყება ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი თავით და სხვა ხელშეკრულებათა მომწესრიგებელი ნორმებიც ითვალისწინებს მსგავს მეორადი მოთხოვნის უფლებებს;

3. ამასთან, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც წესი, იდება ყოველგვარი იურიდიული კონსულტაციისა და ხშირად წერილობითი ფორმის გარეშე, მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს ძირითადი ვალდებულების (უნაკლო ნივთის გადაცემის) დარღვევის შემთხვევაში კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული დაცვის საშუალებებიდან ოპტიმალურის გამოყენების შესაძლებლობის საკითხი.

ნაშრომი მიზნად ისახავს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების ანალიზს, რათა ყოველმხრივ იქნეს გამოკვლეული მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ამ დაცვის საშუალებებს წარმოაჩენენ სრულყოფილად, შეიძლება მომავალში გახდეს მყიდველის ეფექტური დაცვის წინაპირობა, ხოლო ე. წ. „ხარვეზიანი“ ნორმების შემთხვევაში დაისახოს მათი აღმოფხვრის ან მოქნილი ინტერპრეტაციით გამოყენების რეკომენდაციები.

ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი გამოკვლევის მეთოდი, თუმცა არ გულისხმობს უნივერსალურ კომპარატივისტიკას. შედარება ხორციელდება მხოლოდ ორი – საქართველოსა და გერმანიის – სამოქალაქო კოდექსისა, რასაც ასევე აქვს თავისი ახსნა.

თავის დროზე გერმანულმა ცივილისტიკამ და კონკრეტულად გერმანიის სამოქალაქო კოდექსმა (შემდგომში – გსკ)⁵ უდავოდ დიდი გავლენა მოახდინა სსკ-ის ფორმირებაზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი იყო სსკ-ის შექმნის ძირითადი წყარო. ამიტომ გერმანული დოგმატიკისა და სასამართლო პრაქტიკის მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უდავოდ გახდება ნორმაში ჩადებული შინაარსის სრულყოფილად შესწავლის წინაპირობა; მეორე მხრივ, 2002 წელს გერმანიაში განხორციელებულმა ვალდებულებითი სამართლის რეფორმამ⁶ ძირითადად შეცვალა ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები და ამ კუთხით ახალი გერმანული სახელშეკრულებო სამართალი მნიშვნელოვან რეკომენდაციად შეიძლება იქნეს განხილული, თუნდაც იმიტომ, რომ კანონმდებლობაში კონსერვატორი გერმანელებიც კი დადგნენ ვალდებულებითი სამართლის ძირითადი რეფორმის აუცილებლობის წინაშე.

ნაშრომი შედგება ექვსი თავისაგან: I თავში – შესავალში – ყურადღება გამახვილებულია შესასწავლი საკითხის აქტუალობაზე, ასევე დასახულ მიზანსა და გამოყენებული კვლევის მეთოდზე; II თავი ეხება მეორადი მოთხოვნის უფლებათა წარმოშობის ზოგად წინაპირობებს; III თავი – დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლებას; IV თავი – ხელშეკრულებიდან გასვლას; V თავი – ფასის შემცირებას; VI თავი – დასკვნას, სადაც კვლევის შედეგები და საკანონმდებლო რეკომენდაციებია ასახული.

II. მეორადი მოთხოვნის უფლებათა წარმოშობის წინაპირობები

მეორადი მოთხოვნის უფლებების წარმოსაშობად აუცილებელია დაირღვეს ხელშეკრულებით ნაკისრი პირველადი ვალდებულება, რაც გამოიხატება მისი არაჯეროვანი შესრულებით ან შეუსრულებლობით.

თუმცა მეორადი მოთხოვნის უფლება შესაძლებელია წარმოიშვას კანონისმიერი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის

⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, საკანონმდებლო დამატება, 1997, 31, 1.

⁵ Bürgerliches Gesetzbuch nebst Einführungsgesetz vom 18. 08. 1896, RGBl, No.21, 195.

⁶ Gesetz zur Modernisierung des Schuldrechts vom 26.11.2001, BGBl I, 3138.

შემთხვევაში, წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას, ან ისეთი ურთიერთობებისას, სადაც მხარეთა შორის კონტაქტს არ ახლავს სამართლებრივი ბოჭვის სურვილი⁷.

ვალდებულების დარღვევა მეორადი მოთხოვნის უფლებათა წარმოშობის ერთ-ერთი და არა ერთადერთი წინაპირობაა. მათ განსახორციელებლად აუცილებელია სხვადასხვა საფუძვლის კუმულაციურად არსებობა. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

ა) ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება

გამიჯვნის პრინციპის⁸ შესაბამისად, ცალკე აღებული ნასყიდობის ხელშეკრულება არ იწვევს საკუთრების გადასვლას შემძენზე. ნასყიდობის ხელშეკრულებით მოვალე კისრულობს „სანივთო უფლებრივი მდგომარეობის რადიკალურად შეცვლის ვალდებულებას.“⁹ აქედან გამომდინარე, შემონმებას ექვემდებარება მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხები. მის დასადგენად აუცილებელია შემონმდეს ყველა ის პუნქტი მოცემულ ხელშეკრულებაში, რომელნიც მის ნამდვილობას უკავშირდება. ამიტომ გამოყენებას ექვემდებარება სსკ-ის ზოგადი ნაწილის ნორმები „გარიგებათა“ კარიდან. შესამონმებელია გარიგების მხარეთა ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნამდვილობის წინაპირობა. ასევე მხედველობაში მიიღება სსკ-ის 53-ე–59-ე მუხლები, რომლებიც გარიგების ბათილობის განმსაზღვრელ წესებს შეიცავენ. გასაანალიზებელია შეცილების წინაპირობებიც, ვინაიდან სსკ-ის 59-ე II მუხლის მიხედვით, შეცილება ბათილად აქცევს საცილო გარიგებას მისი დადების მომენტიდან. აქედან გამომდინარე, უშუალოდ უნდა შემონმდეს სსკ-ის 72-ე–89-ე მუხლებიც.

გამოსაყენებელ ნორმათა წრე კიდევ უფრო კონკრეტდება ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმებით. კერძოდ, სსკ-ის 329-ე–335-ე მუხლების შესაბამისად, შესამონმებელია, მოხდა თუ არა ოფერტის ადრესატთან მისვლა და მისი აქცეპტირება, რაც ორი თანმხვედრი ნების გამოვლენის კუმულირებას იწვევს და გულისხმობს ხელშეკრულების დადების ფაქტის სამართლებრივ კონსტატაციას.

ბ) ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება

მეორადი მოთხოვნის უფლებათა წარმოშობის საფუძველი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებაა, რაც ნასყიდობის ხელშეკრულებაში კონკრეტდება ნივთობრივი ნაკლით (სსკ-ის 488-ე მუხლი) ან უფლებრივი ნაკლით (სსკ-ის 489-ე მუხლი). გსკ-ის მიხედვით, უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობა განმტკიცებულია ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ პირველსავე მუხლში, რითაც ხაზგასმულია ამ ვალდებულების ძირითადი ხასიათი. სსკ-ის 477-ე მუხლში არ არის საუბარი უნაკლო ნივთის გადაცემის მოვალეობაზე. მიუხედავად ამისა, უნაკლო ნივთის გადაცემა გამყიდველის ძირითადი და არა დამატებითი ვალდებულებაა, რაც პირდაპირ გამომდინარეობს სსკ-ის 490-ე–494-ე მუხლებიდან, ვინაიდან სწორედ ნაკლიანი ნივთის გადაცემის ფაქტი ანიჭებს მყიდველს ამ მუხლებით გათვალისწინებულ დაცვის საშუალებებს.

⁷ Palandt/Thomas, Einl. v. §241, Rn. 8, ციტირებულია: Schütz, Rechtswirt (FSH), Studienbeschreibung, http://www.rechtswirt.de/downloads/Rechtswirt_Studienbeschreibung.pdf?PHPSESSID=ee0dd09a9a1d908cf688320c7e4c4ba1, 18.02.2008.

⁸ კერძო სამართალში მოქმედი პრინციპი, რომლის თანახმადაც, სანივთო ხელშეკრულება გამიჯნული და სამართლებრივად დამოუკიდებელია იმ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებისაგან, რომელიც აფუძნებს საკუთრების გადაცემის ვალდებულებას. ამასთან დაკავშირებით დანვრილებით იხ.: Schapp/Schur, Sachenrecht, 3. Auflage, 2002, 91; Weber, Sachenrecht I, bewegliche Sachen, Rostock, 2004, 94.

⁹ BGHZ, 27, 366.

ა) ნივთობრივი ნაკლი

1. სსკ-ის მიხედვით

ა) ნივთობრივი ნაკლი

სსკ-ის 488-ე I მუხლის მიხედვით, ნივთობრივი ნაკლი სახეზეა, თუ ხელშეკრულების საგანი არ შეესაბამება შეთანხმებულ ხარისხს, ან, თუ ნივთი არ არის ვარგისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად¹⁰, ხარისხი უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე თვისებრიობა, ვინაიდან, ხარისხის ცნება მოიცავს მხოლოდ ისეთ თვისებებს, რომლებიც ნივთს უშუალოდ ახასიათებენ და არა იმ ფაქტორივ, ეკონომიკურ და სამართლებრივ დამოკიდებულებებსაც, რომლებიც ნივთის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარეობენ.

სსკ სუბიექტურ თეორიას¹¹ ანიჭებს უპირატესობას და ნივთობრივი ნაკლის განსაზღვრის თავდაპირველ კრიტერიუმად შეთანხმებული ხარისხისათვის შეუსაბამობას მიიჩნევს. ნივთობრივი ნაკლის შემდეგი შემთხვევაა ნივთის შეუსაბამობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

ბ) ნივთობრივ ნაკლთან გათანაბრებული შემთხვევები

ისევე როგორც გსკ, სსკ-იც გამოყოფს ისეთ შემთხვევებს, როდესაც რომელიმე მათგანი არ კვალიფიცირდება ნივთობრივი ნაკლის სახით, თუმცა იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც ნაკლიანი ნივთის გადაცემა.

სსკ-ის 488-ე II მუხლის მიხედვით: ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე.

ნივთის ერთი ნაწილის გადაცემის გათანაბრება ნივთობრივ ნაკლთან სსკ-ის სიახლეა, რასაც არ იცნობს გსკ. ცალკეული ავტორი¹² ამას უფრო მისაღებად მიიჩნევს, ვიდრე გსკ-ის ფორმულირებას.

რაც შეეხება სხვა ნივთის გადაცემას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, გსკ-ის მსგავსად გათანაბრებულია ნაკლიანი ნივთის გადაცემასთან, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით.

2. გსკ-ის მიხედვით

გსკ ნივთობრივი ნაკლის განსაზღვრისას ემყარება ნაკლის სუბიექტურ ცნებას, „ე.ი. ნივთობრივი ნაკლის არსებობის დასადგენად პირველ რიგში უნდა შემოწმდეს, ჰქონდა თუ არა ნივთს (შემთხვევითი დალუპვის თუ გაუარესების) რისკის გადასვლის მომენტისათვის ხელშეკრულებით შეთანხმებული თვისება, ანუ ის თვისება, რომელიც გამყიდველმა ხელშეკრულების დადებამდე გარკვეული სახით მიუთითა მყიდველს ისე, რომ იგი შემდგომ

¹⁰ *მესხიშვილი*, ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 31.

¹¹ იქვე, 10.

¹² იქვე, 33.

შეთანხმებულ თვისებად და, შესაბამისად, ხელშეკრულების შინაარსად იქცა.¹³ გსკ-ის 434-ე პარაგრაფი ნივთობრივი ნაკლის შემდეგ კატეგორიებს გამოყოფს:

ა) შეთანხმებული თვისებრიობისაგან განსხვავებული ნივთი

გსკ ნივთობრივი ნაკლის განსაზღვრისას ვინაიდან სუბიექტურ თეორიას ანიჭებს უპირატესობას, პირველ რიგში მონმდება, შეესაბამება თუ არა ნივთი შეთანხმებულ თვისებრიობას. ამ თვალსაზრისით, ნივთობრივი ნაკლი სახეზე არ იქნება მაშინაც, როდესაც ობიექტური კრიტერიუმებით ნივთი ნაკლიანია, მაგრამ მხარეთა მიერ შეთანხმებულ თვისებებს სრულად შეესაბამება.¹⁴

შეთანხმება ნივთის თვისებრიობის თაობაზე ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია, როდესაც იგი ცალსახად ფიქსირდება მასში. თუმცა „შეთანხმება შეიძლება კონკლუდენტურად და დუმილით მოხდეს, ასევე სავაჭრო ჩვეულებიდან და რაიმე ადათიდან გამომდინარეობდეს.“¹⁵

დავას ინვესის ფაქტი, თუ რას მოიცავს ცნება „თვისებრიობა“. მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით¹⁶, თვისებრიობა შეესაბამება ნივთის ფაქტობრივ მდგომარეობას, რაც მოიცავს ამ ნივთის დამახასიათებელ თვისებებს (მაგ.: ახალი, ნახმარი, სიდიდე, წონა, მასალა, რისგანაც ის დამზადებულია, ძრავის სიმძლავრე, სიჩქარე), თუმცა ახალი ვალდებულებითი სამართალი უფრო იქითკენ მიდის, რომ სპეციალური ნორმების, კერძოდ გსკ-ის 437-ე-442-ე პარაგრაფების საფუძველზე, გარეგანი ფაქტორებიც, რომლებიც ნივთზე ზემოქმედებენ, თვისებრიობად განიხილებოდეს.¹⁷

ბ) ნივთის შეუსაბამობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარგებლობასთან

ნივთობრივი ნაკლის ერთ-ერთი შემთხვევაა ნივთის შეუსაბამობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარგებლობასთან. მყიდველის მიერ ამ თუ იმ საგნის შეძენა ხდება გარკვეული მიზნობრივი დანიშნულებით, თუმცა ინტენსიური სამოქალაქო ბრუნვის კვალობაზე არავინ მოითხოვს დამატებით ინფორმაციას იმის თაობაზე, აჩვენებს თუ არა ტელევიზორი, ვინაიდან, მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, პოტენციურ მყიდველს ის სწორედ ტელეგადაცემების სანახავად სჭირდება. „მყიდველის განზრახვა, იყიდოს ეს ნივთი კონკრეტული სარგებლობისათვის, გამყიდველისათვის ხელშეკრულების დადებისას მისახვედრი უნდა იყოს. ეს, როგორც წესი, განსაკუთრებული განმარტების გარეშე, გამომდინარეობს საგნის იმ მიზნიდან, რისთვისაც ნივთი ჩვეულებრივ გამოიყენება.“¹⁸

გ) ჩვეულებრივი სარგებლობისათვის ნივთის შეუსაბამობა

ნივთობრივი ნაკლი სახეზეა, როდესაც ხელშეკრულების საგანი არ შეესაბამება ჩვეულებრივ სარგებლობას და იმ თვისებრიობას, რომელიც ჩვეულებრივად დამახასიათებელია მსგავსი სახეობის საგნებისათვის და მყიდველსაც შეუძლია, საგნიდან გამომდინარე, ზუსტად ასეთ თვისებრიობას ელოდოს.

¹³ ჩაჩავა, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითსამართლებრივი ანალიზი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2004, 37.

¹⁴ მესხიშვილი, მე-10 სქ.

¹⁵ Schwab, Jus 2002, 1, 6, ციტირებულია: მესხიშვილი, მე-10 სქ., 23.

¹⁶ Palandt/Putzo, BGB, 2003, §434, Rn.10 ff., ციტირებულია: მესხიშვილი, მე-10 სქ., 22.

¹⁷ მესხიშვილი, მე-10 სქ., 22.

¹⁸ Palandt/Putzo, BGB, 2003, §434, Rn. 20 ff., ციტირებულია: მესხიშვილი, მე-10 სქ., 24.

დ) საჯარო ინფორმაციით ან რეკლამით გავრცელებული თვისებრიობის შეუსაბამო ნივთის რეალურ თვისებებთან

ჩვეულებრივ თვისებრიობას მიეკუთვნება ასევე ისეთი თვისებები, რომელთა თაობაზეც ინფორმაცია მყიდველმა მიიღო, გამყიდველის, მწარმოებლის ან მათი დამხმარის საჯარო გამოსვლების, ასევე რეკლამის შედეგად. „ამ განმარტებების ფორმა შეიძლება ნებისმიერი იყოს: წერილობითი, ზეპირი, ბეჭდვითი ან ელექტრონული მედიების საშუალებით გადმოცემული, და მესამე პირისათვის გასაგები უნდა იყოს.“¹⁹

„გამყიდველი თავისუფლდება საჯარო ინფორმაციის გავრცელებასა და რეკლამასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისაგან, თუ იგი არ იყო და არც შეეძლო ყოფილიყო მწარმოებლის მიერ გავრცელებული ცნობების შესახებ ინფორმირებული, ან თუ გავრცელებული მცდარი ცნობების უარყოფა (შესწორება) მოხდა იმავე სახით და იმ ფარგლებში, როგორც გავრცელდა.“²⁰ „სისტემური თვალსაზრისით, მუხლის ეს ნაწილი ავსებს მე-2 წინადადების მე-2 ნახევარს და მასთან მიმართებით *lex specialis*-ად არის მიჩნეული.“²¹

ე) შეუსაბამო მონტაჟი

ნივთობრივი ნაკლი სახეზეა, როდესაც შეთანხმებული მონტაჟი გამყიდველის ან მისი დამხმარის მიერ არაპროფესიონალურად განხორციელდა.

„ამ ნორმით თავიდან იქნა აცილებული ხელშეკრულების სხვადასხვა ტიპის გამიჯვნის პრობლემა. თუ გამყიდველმა ხელშეკრულებით მონტაჟი თავის თავზე აიღო, მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა ნასყიდობის სამართლით განისაზღვრება, ასე რომ, აღარ არის საჭირო მისი წმინდა დოგმატური ხასიათის მიკუთვნება ნასყიდობის, ნარდობის ან შერეული ტიპის ხელშეკრულებისათვის.“²²

ვ) არასწორი სამონტაჟო ინსტრუქციით გამოწვეული ნივთის ნაკლი

მუხლის აღნიშნული ნაწილი ცნობილია „*Ikea_Klausel*“-ის სახელწოდებით და მომდინარეობს ევროპაში ფართოდ გავრცელებული შვედური ავეჯის სახლ „*Ikea*“-დან, რომლის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდის ისეთ პროდუქტიაზე, რომელიც უნდა დამონტაჟდეს შემდგომში მის სრულყოფილად გამოსაყენებლად. აღნიშნული პროცესი კი ხშირად ინვესს ავეჯის დაზიანებას, რადგან მყიდველმა არ იცის სამონტაჟო ინსტრუქციის გამოყენების წესი და, შესაბამისად, მონტაჟი არაპროფესიონალურად ხორციელდება“²³.

ნაკლი სახეზე არ არის და მყიდველს მეორადი მოთხოვნის უფლებები არ წარმოეშობა იმ შემთხვევაში, თუ მონტაჟი უშეცდომოდ განხორციელდა.

ზ) სხვა ნივთის მიწოდება

სხვა ნივთის გადაცემა, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, ინვესს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც ნაკლიანი ნივთის გადაცემა. სხვა ნივთის მიწოდება არ

¹⁹ *მესხიშვილი*, მე-10 სქ., 25.

²⁰ *ჩაჩავა*, მე-13 სქ., 38.

²¹ *Brox/Walker*, *Besonderes Schuldrecht*, 2002, §4, Rn. 17 f., ციტირებულია: *მესხიშვილი*, მე-10 სქ., 25.

²² იქვე Rn. 24.

²³ *Löwisch*, *Neues Schuldrecht in Deutschland*, <http://www.ritsumei.ac.jp/acd/cg/law/lex/rlr20/Manfred157.pdf>, 18.02.2008.

არის ნივთობრივი ნაკლის ერთ-ერთი სახესხვაობა, არამედ მასთან არის გათანაბრებული და სამართლებრივად ანალოგიურად განიხილება²⁴.

თ) ნაკლები ოდენობის ნივთის მიწოდება

ნაკლები ოდენობის ნივთის მიწოდება ასევე უთანაბრდება ნივთობრივ ნაკლს, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით. საინტერესოა აღნიშნული ნორმის მიმართება გსკ-ის 323-ე V პარაგრაფთან, რომელიც მყიდველს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას ანიჭებს დამატებითი ვადის განსაზღვრის გარეშე²⁵. თუმცა ამ დროს მყიდველის მხრიდან დამტკიცებას საჭიროებს ის ფაქტი, რომ მას ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების მიმართ ინტერესი არ აქვს.

თუ მყიდველი თანახმაა, მიიღოს ამ ოდენობის ნივთი, მას შეუძლია იხელმძღვანელოს ფასის შემცირების შესაბამისი წესებით.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა შემთხვევაში ნივთის ნაკლი სახეზე უნდა იყოს რისკის შემძენზე გადასვლის მომენტში (გსკ-ის 446-ე პარაგრაფი). ასევე, არ არის აუცილებელი, იგი უშუალოდ ხელშეკრულების დადების დროს ფიქსირდებოდეს.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ოდენობაზე მეტი ნივთის გადაცემა გსკ-ისა და სსკ-ის მიხედვით

რაც შეეხება მყიდველისათვის უფრო მეტი ოდენობის მიწოდებას, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. თუ მიწოდებული ნივთი გაყოფადია, სახეზეა შესრულება. ნამეტი ოდენობა მყიდველმა უნდა უკან დააბრუნოს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმათა შესაბამისად²⁶. რაც შეეხება შემთხვევას, როცა მიწოდებული ნივთი გაუყოფადია (გამყიდველმა გადასცა ოქროს საათი შეთანხმებული მოოქროვილი საათის ნაცვლად), მყიდველს შეუძლია, მიღებული უკან დააბრუნოს ისე, რომ არ მოხდეს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება²⁷. მაგრამ, თუ მყიდველს მიღებულის შენარჩუნება უნდა, წარმოიშობა პრობლემა, რადგან სახეზეა სხვა ნივთის მიწოდება, რომელიც ექცევა სსკ-ის 488-ე II მუხლისა და გსკ-ის 434-ე III პარაგრაფის I ალტერნატივის ზემოქმედების ქვეშ.

მეცნიერთა ერთი ნაწილი²⁸ აღნიშნულ შემთხვევას აფასებს როგორც ვალდებულების შეუსრულებლობას, თუ ხელშეკრულების საგანი ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია, ვინაიდან მიწოდებულ იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ნივთი; მეორე ნაწილი²⁹ კი თვლის, რომ, მიუხედავად ნაკლის (შეთანხმებულისაგან განსხვავებული ნივთი) არსებობისა, მყიდველს მაინც შეუძლია, შეინარჩუნოს მიწოდებული ნივთი, ვინაიდან მეორადი მოთხოვნის უფლებათა განხორციელება მის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული; მეცნიერთა მესამე ნაწილის აზრით³⁰, გამყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს

²⁴ მესხიშვილი, მე-10 სქ., 27.

²⁵ იქვე, 28.

²⁶ Gewährleistung beim (Handels-)kauf - §377 ff. HGB, http://www.rewi.euv-frankfurt-o.de/de/lehrstuhl/br/handelsrecht/Lehre/Lehrveranstaltungen_WS_2007_2008/Handelsrecht_Ueberblick/Unterlagen/HK20_Handelskauf_05.doc, 21.12.2007.

²⁷ იქვე.

²⁸ Lettl, Jus, 2002, 866, 871, ციტირებულია: Gewährleistung beim (Handels-)kauf - §377 ff. HGB, 26-ე სქ.

²⁹ Vgl. Wilhelm, JZ 2001, 861, 868, ციტირებულია: Gewährleistung beim (Handels-)kauf - §377 ff. HGB, 26-ე სქ.

³⁰ Lorenz/Riehm, Lehrbuch zum neuen Schuldrecht, 2002, Rn.493; ders. Jus 2003, 36ff; ციტირებულია: Gewährleistung beim (Handels-)kauf - §377 ff. HGB, 26-ე სქ.

სამაგისტრო ნაშრომები

შეცდომით მიწოდებული ნივთის უკან დაბრუნება, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმათა შესაბამისად, თუ ეს მიწოდება მის მიერ შეცდომით განხორციელდა. ამ შემთხვევაში უფრო მისაღები მეცნიერთა მეორე ნაწილის პოზიცია უნდა იყოს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველი დათანხმდება ნივთის რეალური ღირებულების გადახდას, თუნდაც ის ბევრად აღემატებოდეს ხელშეკრულებით თავდაპირველად გათვალისწინებულ ფასს.

სსკ შეიცავს აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელ ნორმას იმ შემთხვევაში, როდესაც მიწოდებული ნივთი გაყოფადია. სსკ-ის 493-ე II მუხლის თანახმად: თუ საქონლის რაოდენობა აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულს, მაშინ მყიდველს შეუძლია, მიიღოს ეს რაოდენობა და მოვალეა, გადაიხადოს სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად, ან მიიღოს მხოლოდ ის რაოდენობა, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, ხოლო ზედმეტი დააბრუნოს უკანვე, გამყიდველის ხარჯზე.

ბბ) უფლებრივი ნაკლი

უფლებრივი ნაკლის ცნება განსაკუთრებულ როლს ასრულებს იმ შემთხვევაში, როდესაც ნასყიდობის საგანი უძრავი ქონება ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთეა³¹. უფლებრივი ნაკლი სახეზეა, როდესაც კერძო ან საჯარო სამართლის საფუძველზე წარმოშობილმა მესამე პირის უფლებამ შეიძლება დააბრკოლოს ნასყიდობის საგნის საკუთრების, მფლობელობის ან შეუზღუდავი მოხმარების უფლება³². გადამწყვეტი ფაქტორი უფლებრივი ნაკლის არსებობისათვის არის ის, რომ საკუთრება, რომელსაც იძენს მყიდველი, ინდივიდუალურადაა დატვირთული. ნივთობრივი ნაკლისაგან მთავარი განმასხვავებელი ნიშანია პასუხისმგებლობის განსაზღვრის მომენტი. ნივთობრივი ნაკლის შემთხვევაში ნაკლი სახეზე უნდა იყოს რისკის გადავლამდე, უფლებრივი ნაკლის შემთხვევაში – საკუთრების გადაცემამდე³³.

1. უფლებრივი ნაკლის წარმომშობ უფლებათა სახეები

მესამე პირის უფლებები, რომლებიც აფუძნებენ უფლებრივ ნაკლს, შეიძლება გამომდინარეობდეს არა მხოლოდ კერძო სამართლიდან, არამედ საჯარო სამართლიდანაც.

ა) კერძოსამართლებრივი უფლებები

აა) სანივთო უფლებები

უფლებრივი ნაკლი სახეზეა, როდესაც მესამე პირს ეკუთვნის ისეთი სანივთო უფლებები, როგორებიცაა: იპოთეკა, გირავნობა³⁴, სერვიტუტი³⁵, შეზღუდული პირადი სერვიტუტი³⁶, ასევე წინასწარი ჩანანერი უფლების შემდგომში რეგისტრაციის თაობაზე³⁷. მნიშვნელობა არ აქვს იმას, მესამე პირის შეზღუდული სანივთო უფლება წარმოიშვა გარიგების, სასამართლო გადაწყვეტილების თუ კანონის საფუძველზე³⁸.

³¹ Prütting/Wegen/Weinreich, BGB Kommentar, Luchterhand, 2006, 677.

³² Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, 65. Auflage, München, 2006, 630.

³³ Bamberger/Roth, Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, Band 1, 2. Auflage, München 2007, 1869.

³⁴ Bamberger/Roth, 34-ე სქ., 1869.

³⁵ BGH NJW-RR 93, 396, ციტირებულია: Prütting/Wegen/Weinreich, 31-ე სქ., 678.

³⁶ BGH NJW 00, 803, ციტირებულია: Palandt, 32-ე სქ., 630.

³⁷ RGZ 149, 195, 197, ციტირებულია: Bamberger/Roth, 33-ე სქ., 1869.

³⁸ Bamberger/Roth, 33-ე სქ., 1869.

ბბ) ვალდებულებითი უფლებები

უფლებრივი ნაკლის შემადგენლობა შეიძლება შექმნას მესამე პირის იმ უფლებებმაც, რომლებიც ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობენ. გავრცელებული შემთხვევაა მყიდველის მიერ ქირით ან იჯარით გაცემული ქონების შექმნა, როდესაც ის იკავებს თავდაპირველი გამქირავებლის ან მეიჯარის ადგილს³⁹. უფლებრივი ნაკლი ასევე სახეზეა, როდესაც ქირავნობის ან იჯარის ვადა უფრო მეტია, ვიდრე ეს მყიდველს მიეთითა⁴⁰.

ბ) საჯაროსამართლებრივი უფლებები

ნივთი ჩაითვლება უფლებრივი ნაკლის მქონედ, თუ მესამე პირის უფლებები გამომდინარეობს საჯაროსამართლებრივი დანაწესებიდან. აღნიშნულს მიეკუთვნება კონკრეტული უფლებამოსილებანი ექსპროპრიაციაზე, ყადაღის დადებასა⁴¹ და კონფისკაციაზე, თუ ეს უფლებები არ გამომდინარეობს ნივთის თვისებრიობიდან⁴². ნივთით სარგებლობის საჯაროსამართლებრივი შეზღუდვები უთანაბრდება უფლებრივ ნაკლს, თუ ისინი არ ითვლებიან საკუთრების უფლების შეზღუდვის ზოგადი პრინციპების გამოძახილად ან არ ეყრდნობიან ნივთის თვისებრიობას⁴³. განაშენიანების შეზღუდვა, რომელიც მინის ნაკვეთის თვისებრიობიდან (განსაკუთრებით მდებარეობიდან) გამომდინარეობს, არის ნივთობრივი და არა უფლებრივი ნაკლი⁴⁴.

2. მესამე პირის უფლებებით დატვირთული ნივთი

უფლებრივ ნაკლს ეხება სსკ-ის 489-ე მუხლი და გსკ-ის 435-ე პარაგრაფი. სსკ-ის 489-ე მუხლის თანახმად: ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. გსკ-ის 435-ე პარაგრაფის თანახმად კი, უფლებრივ ნაკლად არ ჩაითვლება ასევე ისეთი შემთხვევა, როდესაც მესამე პირი ახორციელებს უფლებებს, რომელთა შესრულება მყიდველმა ნასყიდობის ხელშეკრულებით იკისრა. ქართველი კანონმდებლისგან განსხვავებით, გერმანელი კანონმდებელი უფლებრივი ნაკლის განსაზღვრისას იყენებს ნაკლის როგორც ობიექტურ, ასევე სუბიექტურ ცნებას. თუმცა, გავრცელებული მოსაზრებით⁴⁵, ის, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უფლებრივ ნაკლს არ წარმოშობს, მხოლოდ თვალსაჩინოებაა. უფლებრივი ნაკლის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მესამე პირის უფლებები უნდა იყოს ნამდვილი და რეალური⁴⁶.

³⁹ *Bamberger/Roth*, 33-ე სქ., 1870.

⁴⁰ BGH NJW 1991, 2700; NJW 2001, 2875 betr Verlängerungsoption, ციტირებულია: *Bamberger/Roth*, 33-ე სქ., 1870.

⁴¹ RGZ 96, 77, 80, RGZ 111, 86, 88, BGH NJW 2004, 1802 f., ციტირებულია: *Bamberger/Roth*, 34-ე სქ., 1870.

⁴² *Koller, Jus* 1984, 106 ff., *Wertenbruch Jus* 2003, 625, 632; a. A BGH NJW 1983, 275; BGHZ 113, 106, 112 f. = NJW 1991, 915, 916 "Diesel mit Heizöl"; ციტირებულია: *Bamberger/Roth*, 33-ე სქ., 1870.

⁴³ *Bamberger/Roth*, 33-ე სქ., 1870.

⁴⁴ RGZ 131, 343, 348 f.; RGZ 161, 193, 194 f.; BGH WM 1969, 273, 274; NJW 1989, 2388; NJW-RR 1993, 396; *Soergel/Huber*, §434, Rn. 56 ff.; *Staudinger/Matusche-Beckmann*, Rn.28, ციტირებულია: *Bamberger/Roth*, 33-ე სქ., 1870.

⁴⁵ *Bamberger/Roth*, 33-ე სქ., 1867.

⁴⁶ ჩაჩავა, მე-13 სქ., 39.

უფლებრივ ნაკლად არ ითვლება შეზღუდვები, რომლებიც თითოეულ მესაკუთრეს შეიძლება შეხვდეს და რომლებიც გამომდინარეობენ სამეზობლო, ბუნების დაცვისა და ძეგლთა დაცვის სამართლიდან⁴⁷. ნივთობრივი და არა უფლებრივი ნაკლია სახეზე იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირის სამრეწველო საკუთრების უფლების⁴⁸ საავტორო უფლების ან პირადი არაქონებრივი უფლების (მაგ.: უფლება საკუთარ გამოსახულებაზე) საფუძველზე წარმოშობილი უფლება მყიდველს ნივთის მოხმარებისაგან ან გასხვისებისაგან თავის შეკავებას ავალდებულებს, რადგან მესამე პირის უფლებას საფუძველი ყოველთვის აქვს ნასყიდობის საგნის კონკრეტულ თვისებრობაში⁴⁹.

როდესაც მესამე პირის უფლება დამოუკიდებელია ნივთის თვისებრობისაგან, მაგრამ მის მოხმარებას აფერხებს, შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლი⁵⁰.

3. საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არარსებული უფლება

სსკ-ის 489-ე II მუხლის და გსკ-ის 435-ე პარაგრაფის მეორე წინადადება უფლებრივ ნაკლთან ათანაბრებს შემთხვევას, როდესაც საჯარო რეესტრში არარსებული უფლებაა რეგისტრირებული. ნორმის მიზანია, თავიდან აიცილოს შემდგომი გაუგებრობები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მყიდველის მდგომარეობას არ აუარესებს, მას შეიძლება ხელი შეეშალოს მიწის ნაკვეთის განკარგვაში და კეთილსინდისიერი შეძენის შემთხვევაში ეს არარსებული უფლება ნამდვილ უფლებად იქცეს.⁵¹

ნორმა მოიცავს არა მხოლოდ სინამდვილეში არარსებულ უფლებებს, არამედ წინასწარ ჩანანერებსაც⁵² და შინაარსობრივად აკრძალულ რეგისტრაციის შემთხვევებსაც.⁵³

გ) დამატებითი ვადის დაწესება (ვადის დაწესების ამაოება)

ვინაიდან ვალდებულების ჯეროვანი შესრულება მყიდველის ძირითადი ინტერესია, იგი უფლებამოსილია, დამატებითი (გონივრული) ვადა დაუწესოს გამყიდველს ნაკლის გამოსასწორებლად. დამატებითი შესრულება თავადაა მეორადი მოთხოვნის უფლება, თუმცა ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში ქმნის დანარჩენ მეორად მოთხოვნის უფლებათა გამოყენების წინაპირობას. მიუხედავად ამისა, სსკ შეიცავს ნორმებს, რომლებიც დამატებითი ვადის დაწესებას არასაჭიროდ მიიჩნევენ (405-ე II მუხლი). კანონმა „ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შესახებ“ კიდევ უფრო გაუფართოვა გერმანულ სამართალს ასეთი გამონაკლისების რიცხვი. დამატებითი ვადის დაწესება ასევე არ არის საჭირო, თუ დამატებითი შესრულება შეუძლებელია იურიდიული (გსკ-ის 275-ე I პარაგრაფი), პრაქტიკული (გსკ-ის 275-ე II პარაგრაფი) ან მორალური (გსკ-ის 275-ე III პარაგრაფი) შეუძლებლობის გამო. თუმცა 275-ე II და III პარაგრაფის გამოყენება ნაკლებ მნიშვნელობას იძენს კონკრეტულად ნასყიდობის ხელშეკრულებაში, ვინაიდან 439-ე III პარაგრაფი შესაძლებლობას იძლევა, გამყიდველი

⁴⁷ *Soergel/Huber*, 434, Rn. 70; *Staudinger/Matusche-Beckmann*, Rn.23, ციტირებულია: *Bamberger/Roth*, 33-ე სქ., 1868.

⁴⁸ Für Rechtsmangel BGH NJW 1973, 1545, 1546 betr. Patentanmeldung; BGH NJW 1979, 713 f betr. Patent, ციტირებულია: *Bamberger/Roth*, 33-ე სქ., 1869.

⁴⁹ *Erman/Grunewald*, Rn. 6; Münchkomm BGB/Westermann, Rn.4, ციტირებულია: *Bamberger/Roth*, 33-ე სქ., 1869.

⁵⁰ *Staudinger/Matusche-Beckmann*, Rn. 25, ციტირებულია: *Bamberger/Roth*, 33-ე სქ., 1869.

⁵¹ RegE, BT-Drucks 14/6040, 218, ციტირებულია: *Bamberger/Roth*, 33-ე სქ., 1871; იხ. *Palandt*, 32-ე სქ., 630.

⁵² RGZ 149, 195, 197, ციტირებულია: *Bamberger/Roth*, 33-ე სქ., 1871.

⁵³ RGZ 88, 21, 28, ციტირებულია: *Bamberger/Roth*, 33-ე სქ., 1871.

აღჭურვოს დაცვის კიდევ უფრო ეფექტური საშუალებით: გამყიდველს უფლება აქვს, უარი განაცხადოს დამატებით შესრულებაზე, მიუხედავად 275-ე II-III პარაგრაფის მოთხოვნებისა, თუ იგი არაპროპორციულ ხარჯებს მოითხოვს და, შესაბამისად, დამატებითი შესრულება შეუძლებლად გადააქციოს. პროპორციული ხარჯების გამოსათვლელად კი მხედველობაში მიიღება ნივთის ღირებულება უნაკლო მდგომარეობაში, ნაკლის მნიშვნელობა და საკითხი, შესაძლებელია თუ არა დამატებითი შესრულების მეორე სახით მოხდეს ნაკლის გამოსწორება, მყიდველისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე (გსკ-ის 439-ე III პარაგრაფის მე-2 წინადადება).

დ) მეორადი მოთხოვნის უფლებათა გამორიცხვის დაუშვებლობა

მეორადი მოთხოვნის უფლების განხორციელება არ უნდა იყოს გამორიცხული კანონის ან ხელშეკრულების ძალით.

კანონის ძალით მეორადი მოთხოვნის უფლებათა განხორციელება გამორიცხულია, თუ მყიდველმა ხელშეკრულების დადების დროს იცოდა ნივთის ნაკლის შესახებ⁵⁴, ხოლო თუ მყიდველს ნივთის ნაკლი შეუმჩნეველი დარჩა უხეში გაუფრთხილებლობის გამო, მან თავისი უფლებები მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელოს, თუკი გამყიდველმა ნაკლი ბოროტი განზრახვით დამალა ან გარანტია აიღო ნივთის ხარისხის თაობაზე⁵⁵.

რაც შეეხება მეორადი მოთხოვნის უფლებათა გამორიცხვას ხელშეკრულების ძალით, მას ეხება სსკ-ის 497-ე მუხლი და გსკ-ის 444-ე პარაგრაფი.

სსკ-ის 497-ე მუხლის თანახმად: ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს ან გამორიცხოს გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას, მაგრამ ასეთი შეთანხმება ბათილი იქნება, თუ გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ.

გსკ-ის 444-ე პარაგრაფის შესაბამისად, შეთანხმებას, რომლის ძალითაც ნივთის ნაკლის გამო მყიდველის უფლებები გამორიცხება ან იზღუდება, არ შეიძლება გამყიდველი დაეყრდნოს, თუ მან ნაკლი ბოროტი განზრახვით დამალა, ან ნივთის ხარისხის თაობაზე გარანტია აიღო.

მიზანშეწონილი იქნება, თუ გარანტიის თაობაზე ჩანაწერი აისახება სსკ-ის 497-ე მუხლში, როგორც ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეთანხმების ბათილად ცნობის წინაპირობა.

ე) მეორადი მოთხოვნის უფლებათა ხანდაზმულობის დაუშვებლობა

გსკ-ის ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი თავი შეიკავს სპეციალურ მუხლს, რომელიც განსაზღვრავს მეორადი მოთხოვნის უფლებათათვის დაწესებულ ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებს. გსკ-ის 438-ე პარაგრაფის თანახმად, მეორადი მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია:

- 1) 30 წელიწადში, თუ ნაკლი:
 - ა) ეხება მესამე პირის იმ სანივთო უფლებას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს ნივთის გადაცემა, ან
 - ბ) ეხება იმ უფლებას, რომელიც საადგილმამულო წიგნშია რეგისტრირებული;
- 2) 5 წელიწადში, თუ ნაკლი:
 - ა) ეხება ნაგებობას და
 - ბ) ეხება ნივთს, რომელიც, მისი ჩვეულებრივი დანიშნულების შესაბამისად, გამიზნულია ნაგებობისათვის და გამოიწვია მისი ნაკლი;

⁵⁴ სსკ-ის 494-ე II მუხლი.

⁵⁵ გსკ-ის 442-ე I 2 პარაგრაფი

3) 2 წელიწადში – დანარჩენ შემთხვევაში.

ხანდაზმულობის ვადის დენა მიწის ნაკვეთის შემთხვევაში იწყება გადაცემით, დანარჩენ შემთხვევაში კი ნივთის მიწოდებით (გსკ-ის 438-ე II პარაგრაფი).

გსკ-ის 438-ე პარაგრაფი მიუთითებს ხანდაზმულობის ზოგადი ვადების გამოყენების აუცილებლობაზე, თუ გამყიდველმა ნაკლი ბოროტი განზრახვით დამალა.

სსკ-ის ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი თავი არ შეიცავს ასეთ სპეციალურ მუხლს. შესაბამისად, მეორადი მოთხოვნის უფლებათა მიმართ გამოიყენება სსკ-ის 129-ე მუხლი, რომლის თანახმად: მოძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებით – 6 წელს. ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მეორადი მოთხოვნის უფლებებისათვის ხანდაზმულობის განსხვავებული ვადების დანესება განპირობებულია მისი განსაკუთრებული ადგილით სამოქალაქო ბრუნვაში, რათა მისთვის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმებისაგან განსხვავებული წესი იქნეს გამოყენებული. მიზანშეწონილია, მსგავსი ნორმა აისახოს სსკ-შიც და ხანდაზმულობის ვადები შემცირდეს, მით უფრო, რომ ვალდებულებითი სამართლის რეფორმამდე მსგავსი ნორმის არარსებობას გერმანული სამართლის მნიშვნელოვან ხარვეზად მიიჩნევენ⁵⁶.

გასათვალისწინებელია გსკ-ის 438-ე IV-V პარაგრაფის მოთხოვნა, რომლის თანახმად, ისეთ მეორადი მოთხოვნის უფლებებზე, როგორებიცაა ხელშეკრულებიდან გასვლა და ფასის შემცირება, არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა, ამ ორი უფლების იურიდიული ბუნების გამო. ამ შემთხვევაში გამოიყენება გსკ-ის 218-ე პარაგრაფი, რომლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო ვერ განხორციელდება, თუ ხანდაზმულია ვალდებულების შესრულების ან დამატებითი შესრულების მოთხოვნა და მოვალე აღნიშნულ უფლებას დაეყრდნო.

III. დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება

სსკ-ის 490-ე მუხლის მიხედვით, თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს იგი საამისოდ აუცილებელ ვადაში. „გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, არჩევანის უფლება ამ ორი სახის ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნას შორის გამყიდველს გააჩნია“⁵⁷. ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან იკვეთება კანონმდებლის ნება, მოახდინოს დიფერენცირება დამატებითი შესრულების სახეების განსაზღვრისას ინდივიდუალური და გვაროვნული ნივთების მიხედვით. გვაროვნული ნივთის შემთხვევაში გამყიდველი თავისუფალია დამატებითი შესრულების სახის არჩევისას. მისი ეს არჩევანი იზღუდება ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის შემთხვევაში და გამყიდველს მხოლოდ ნაკლის გამოსწორება შეუძლია. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს არა კანონის ზუსტი მითითებიდან, ვინაიდან სსკ-ში საერთოდ არ მოიხსენიება ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, როგორც ასეთი, არამედ მისი განმარტებიდან.

დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება არსებობს იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა გამყიდველი რაიმე ფორმით პასუხისმგებელი ნივთის ნაკლისათვის, გამოიწვია თუ არა მან ეს ნაკლი თავად, ან თუ იცოდა, ან უნდა სცოდნოდა ამ ნაკლის თაობაზე⁵⁸. ნივთობრივი ან

⁵⁶ იხ. *ცვაიგერტი/კოტცი*, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, თბილისი., 2001, 186.

⁵⁷ *ჩაჩავა*, მე-13 სქ., 51.

⁵⁸ *Gursky, Schuldrecht, Besonderer, Teil, 5. Auflage, Heidelberg, 2005, 22.*

უფლებრივი ნაკლის არსებობისას, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ ასეთი ნაკლის მქონე ნივთის მიწოდებისას საქმე ეხება ვალდებულების დარღვევას, რომელიც ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის დებულებათა საპირისპიროდ ბრალის გარეშეც შეიძლება დადგეს.⁵⁹

აღნიშნული მოსაზრება ადასტურებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ბრალი, როგორც მაკვალიფიცირებელი ელემენტი, გამოირიცხება ისეთი მეორადი მოთხოვნის უფლების განხორციელებისას, როგორც დამატებითი შესრულება.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად⁶⁰, გარდა იმ ზოგადი წინაპირობისა, რომ ნაკლიანი ნივთი უნდა იქნეს მიწოდებული, კანონი არ ითვალისწინებს დამატებით წინაპირობებს დამატებითი შესრულებისათვის. ამ შეხედულების საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ, მართალია, დამატებით შესრულებას არ სჭირდება ისეთი დამატებითი წინაპირობები, რომლებიც ახასიათებს ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი თავით გათვალისწინებულ სხვა მეორად მოთხოვნის უფლებებს (მაგ.: ბრალი – ზიანის ანაზღაურება, დამატებითი ვადის დაწესება – ხელშეკრულებიდან გასვლა), თუმცა მხედველობაშია მისაღები ის ზოგადი წინაპირობები, რომლებიც საერთოა ყველა მეორადი მოთხოვნის უფლებისათვის და ამ ნაშრომის მეორე თავშია ჩამოთვლილი.

დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლება იკავებს თავდაპირველი შესრულების მოთხოვნის უფლების ადგილს. სახელწოდებიდან გამომდინარე, მას ხშირად მოიხსენიებენ როგორც თავდაპირველი შესრულების მოთხოვნის უფლების გაგრძელებას, რომელიც იკავებს მის ადგილს⁶¹. იგი არსებობს მაშინაც, როცა ნაკლი უმნიშვნელოა. დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება კრედიტორს აძლევს შესაძლებლობას, უარი განაცხადოს სინალაგმატური⁶² ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე თავისი ვალდებულების შესრულებაზე. მყიდველს უფლება აქვს, დამატებით შესრულებამდე უარი განაცხადოს ფულის გადახდაზე⁶³, ასევე უფლება აქვს, ნაკლიანი ნივთის მიწოდებისას უარი განაცხადოს მის მიღებაზე, რაც არ გამოიწვევს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას⁶⁴.

დამატებითი შესრულება პირველი რიგის უფლებაა მეორადი მოთხოვნის უფლებებს შორის. მყიდველის ყველა დანარჩენი უფლების დამოკიდებულება მასზე გამომდინარეობს არა კანონის პირდაპირი მოთხოვნიდან, არამედ იმ ფაქტიდან, რომ როგორც გასვლის, ისე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების განსახორციელებლად აუცილებელია, გავიდეს დამატებითი შესრულების ვადა.⁶⁵

⁵⁹ Der Kaufvertrag, Einführung, [http://www.wiec.de/Download/WIEC01b/Semester2/Recht/Skript%20Recht%2002-07-31%20\(preview\).pdf](http://www.wiec.de/Download/WIEC01b/Semester2/Recht/Skript%20Recht%2002-07-31%20(preview).pdf), 23.01.2008.

⁶⁰ Held, die Rechtsbehelfe des Käufers nach deutschem Kaufrecht und nach UN-Kaufrecht im Fall der Lieferung mangelhafter Ware, Dissertation, http://deposit.d-nb.de/cgi-bin/dokserv?idn=977123405&dok_var=d1&dok_ext=pdf&filename=977123405.pdf, 24.01.2008.

⁶¹ Schuster, Schuldrecht BT – Kaufrecht, Kurzeinführung mit Fällen und Lösungen, 17.04.2007 <http://www.peterfelixschuster.de/juraag/sbt-kauf.pdf>, 23.01.2008.

⁶² ორმხრივი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, როდესაც ერთი მხარის ძირითადი ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია მეორე მხარის ძირითადი ვალდებულების შესრულებაზე. თითოეული მხარე ასრულებს თავის ვალდებულებას იმისათვის, რათა მიიღოს საპასუხო შესრულება მეორე მხარისაგან. ამასთან დაკავშირებით დანვრილებით იხ. Der Kaufvertrag, Einführung, 61-ე სქ.

⁶³ Lorenz/Riehm, Rn. 500, ციტირებულია: Gursky, 58-ე სქ., 2.

⁶⁴ Der Kaufvertrag, Einführung, 59-ე სქ.

⁶⁵ Prütting/Wegen/Weinreich, 31-ე სქ., 68.

ა) დამატებითი შესრულების სახეები

სსკ, ისევე როგორც გსკ, დამატებითი შესრულების ორ სახეს იცნობს: ნაკლის გამოსწორება და ნივთის ახლით შეცვლა. სსკ-ის მიხედვით, გამყიდველის მიერ დამატებითი შესრულების სახის არჩევა დამოკიდებულია იმაზე, ნივთი ინდივიდუალურია თუ გვაროვნული (სსკ-ის 490-ე | მუხლი), ხოლო გსკ-ის მიხედვით, დამატებითი შესრულების სახის არჩევა მყიდველის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული (გსკ-ის 439-ე | პარაგრაფი).

აა) ნაკლის გამოსწორება

ნაკლის გამოსწორებისას მყიდველი ინარჩუნებს ნაყიდ ნივთს და მოითხოვს ნაკლის აღმოფხვრას. ნაკლის აღმოფხვრა შესაძლებელია განხორციელდეს ნივთის შეკეთებით ან ცალკეული ნაწილების გამოცვლით. ნაკლი აღმოფხვრილად ჩაითვლება, თუ შეკეთებული ნივთი შეესაბამება უნაკლო, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხს⁶⁶.

1. გამოსწორებადი და გამოუსწორებადი ნაკლი

სსკ-ის 490-ე მუხლი და გსკ-ის 439-ე პარაგრაფის I აბზაცის I ალტერნატივა ავალდებულებს გამყიდველს, გამოასწოროს ნაკლი. ეს მოთხოვნა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ გამოსწორებადი ნაკლის არსებობისას.⁶⁷ თუ ნაკლი აღმოფხვრას არ ექვემდებარება, ნაკლის გამოსწორების მოთხოვნა გამორიცხულია შეუძლებლობის გამო. შესაძლებელია, მხოლოდ ახალი ნივთის მიწოდება იქნეს მოთხოვნილი და ისიც იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი.⁶⁸

გამოსწორებადი ნაკლის შემთხვევაში მყიდველს შეუძლია, პირველად მხოლოდ ნაკლის გამოსწორება მოითხოვოს.

სსკ-ისაგან განსხვავებით, გსკ-ის მიხედვით, დამატებითი შესრულების ამ ორ სახეს შორის არჩევანის უფლება ეკუთვნის მყიდველს. ამ არჩევანის უფლების მიმართ ანალოგიის წესით გამოიყენება გსკ-ის 262-ე-265-ე პარაგრაფები მიუხედავად ამისა, 439-ე პარაგრაფის მიხედვით, არჩევის უფლება ეკუთვნის კრედიტორს (მყიდველს) და არა მოვალეს (გამყიდველს), როგორც ამას გსკ-ის 262-ე პარაგრაფი ითვალისწინებს.⁶⁹

2. ნაკლის გამოსწორების სახეები

თუ ნაკლის გამოსწორება შესაძლებელია სხვადასხვა გზით, გსკ არ განსაზღვრავს, თუ ვის შეუძლია, გამოსწორების კონკრეტული სახე აირჩიოს – მყიდველმა (ანალოგიის წესით, 439-ე | პარაგრაფი) თუ გამყიდველმა⁷⁰. გსკ-ის 439-ე | პარაგრაფის მიხედვით, დამატებითი შესრულების ორ სახეს შორის არჩევანის უფლება ეკუთვნის მყიდველს, რაც, მეცნიერთა ერთი ნაწილის⁷¹ მოსაზრებით, გაუმართლებელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დამატებით შესრულების ხარჯებს კისრულობს გამყიდველი. მნიშვნელოვანია დადგინდეს,

⁶⁶ *Medicus*, Schuldrecht II, Besonderer Teil, 12. Auflage, München, 2004, 23.

⁶⁷ *Moritz*, Kaufvertrag, Mängelansprüche beim Kauf, der Nacherfüllungsanspruch §§ 437 Nr.1, 439. Abs. 1 BGB, <http://bgbl.uni-hamburg.de/agl/agl-437-439.htm>, 24.01.2008.

⁶⁸ *Moritz*, 67-ე სქ.

⁶⁹ *Moritz*, 67-ე სქ.

⁷⁰ *Heid*, მე-60 სქ.

⁷¹ *Medicus*, 66-ე სქ., 23.

შესაძლებელია თუ არა ნაკლის გამოსწორების სხვადასხვა ხერხის არსებობის შემთხვევაშიც გამოყენებულ იქნეს ანალოგიის წესით მყიდველის არჩევანის უფლება.

გერმანელი კანონმდებელი ამის თაობაზე დუმს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ასევე ხელშეკრულების ორივე მხარის კანონით დაცული ინტერესიც: ერთი მხრივ, მყიდველი დაინტერესებულია, თავად განსაზღვროს, თუ როგორ გამოსწორდეს ნაკლი, მეორე მხრივ კი, სახეზეა გამყიდველის ინტერესი, რომელმაც უნდა განახორციელოს დამატებითი შესრულება და ამის გამო აქვს განსაკუთრებული ინტერესი, თავად განსაზღვროს ნაკლის გამოსწორების სახე⁷². სწორედ ამის გამო აკრიტიკებენ გსკ-ის 439-ე პარაგრაფით გათვალისწინებულ მყიდველის არჩევანის უფლებას ნაკლის გამოსწორებასა და ახალი ნივთის მიწოდებას შორის⁷³. კანონმდებელმა დამატებითი შესრულების სახეებს შორის არჩევანის უფლება მიანიჭა არა მხოლოდ მომხმარებელს, რაც პირდაპირი მოთხოვნაა ევროკავშირის დირექტივისა⁷⁴ „მომხმარებლის მონაწილეობით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ზოგიერთი ასპექტის თაობაზე“ (მე-3 მუხლის III პუნქტის პირველი წინადადება), არამედ ყველა მყიდველს⁷⁵. აღნიშნული კი იმით დაასაბუთა, რომ ნებისმიერი გამყიდველი, რომელმაც ვალდებულება დაარღვია ნაკლიანი ნივთის მიწოდებით, უფრო ნაკლებად იმსახურებს დაცვას, ვიდრე მყიდველი⁷⁶.

არჩევანის უფლების არაკეთილსინდისიერი გამოყენებისაგან გამყიდველს იცავს გსკ-ის 439-ე III პარაგრაფი, რომელსაც შეესაბამება სსკ-ის 490-ე III მუხლი. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევა, როდესაც თვითონ გამყიდველს აქვს ნივთი მესამე პირისაგან ნაყიდი. თუ მყიდველის არჩევანის უფლება გავრცელდება ნასყიდობის ყველა სახეზე, თავად გამყიდველს შეუძლია, მესამე პირს განუსაზღვროს დამატებითი შესრულების სახე და თავისი მყიდველის სურვილი საკუთარ გამყიდველს გადააკისროს⁷⁷.

ერთ-ერთი შეხედულების თანახმად⁷⁸, კანონმდებლის ნება, რომ მყიდველმა გადანყვიტოს, რა გზით შეიძლება ხელშეკრულების მიზნის მიღწევა, ანუ უნაკლო ნივთის მიწოდება, მოიცავს არა მხოლოდ საკითხს, მოთხოვნილ იქნეს ნაკლის გამოსწორება, არამედ საკითხსაც, თუ როგორ მოხდეს ეს. საპირისპირო შეხედულების მიხედვით კი ამ შემთხვევაში წინა პლანზე უნდა დადგეს გამყიდველის ინტერესები, რადგან მყიდველი საბოლოოდ იღებს უნაკლო ნივთს, გარდა ამისა, თავად განსაზღვრავს დამატებითი შესრულების სახესაც და მისთვის ნაკლის გამოსწორების სახის განსაზღვრის უფლების გადაცემაც უსაზღვროდ გააფართოებს მის უფლებებს.

არ არის სავალდებულო, უშუალოდ გამყიდველმა განახორციელოს ნაკლის გამოსწორება. მას შეუძლია, დამატებითი შესრულება იმ პირის მეშვეობით განახორციელოს, რომელსაც იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად⁷⁹.

ბბ) ახალი ნივთის მიწოდება

ახალი ნივთის მიწოდება გულისხმობს, რომ კრედიტორმა უკან უნდა დააბრუნოს მიღებული ნაკლიანი ნივთი და მის სანაცვლოდ მიიღოს ახალი, ხელშეკრულების პირობების შესაბამისი

⁷² Held, მე-60 სქ.

⁷³ Zerres, RIW 2003, 746, 753, ციტირებულია: Held, მე-60 სქ.

⁷⁴ Richtlinie 1999/44/EG des Europäischen Parlaments und des Rates vom 25. Mai 1999. zu bestimmten Aspekten des Verbrauchsgüterkaufs und der Garantien für Verbrauchsgüter (AB1. EG Nr. L 171 S.12).

⁷⁵ Held, მე-60 სქ.

⁷⁶ Begründung RegE BT-Drs.14/6040, 231, ციტირებულია: Held, მე-60 სქ.

⁷⁷ Held, მე-60 სქ.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ Moritz, 67-ე სქ.

(სსკ-ის 490-ე IV მუხლი). გსკ-ის 439-ე IV პარაგრაფი მიუთითებს 346-ე-348-ე პარაგრაფებზე, რომლებიც ანესრიგებენ ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს. როგორც ჩანს, კანონმდებელს აღნიშნული ნორმების მითითება მხოლოდ იმიტომ დასჭირდა, რომ ხაზი გაესვა მყიდველის ვალდებულებისათვის, უკან დააბრუნოს არა მხოლოდ ნაკლიანი ნივთი, არამედ მისი მოხმარებით მიღებული სარგებელიც.⁸⁰

სსკ-ის მიხედვით, ახალი ნივთის მიწოდების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საგანი გვაროვნული ნიშნებით განსაზღვრული ნივთია.

გვაროვნული ნივთი სახეზეა, როდესაც ხელშეკრულების საგანია ნივთი განსაზღვრული ოდენობიდან, რომლის კონკრეტიზაცია თავად გამყიდველმა უნდა მოახდინოს.

შესაძლებელია, ასევე გვაროვნული ნივთის შემთხვევაშიც იყოს შეუძლებელი ახლით შეცვლა, თუ:

1. გამყიდველმა გვაროვნული ნივთის კონკრეტიზაცია მოახდინა (გსკ-ის 243-ე II პარაგრაფი);

2. ნივთის მთელი ეს სახეობა ნაკლიანია; ან

3. მთელი სახეობა განადგურდა⁸¹.

ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის ნასყიდობის შემთხვევაში მოვალე ხელშეკრულებით იღებს ვალდებულებას კონკრეტული საგნის მიწოდებაზე. შესაძლებელია თუ არა ახალი ნივთის მიწოდება ნაკლის აღმოჩენისას, მთავარი სადავო საკითხია. სსკ ცალსახად მიუთითებს, რომ ახალი ნივთის მიწოდება მხოლოდ გვაროვნული ნივთის შემთხვევაშია დასაშვები. ასეთივე მიდგომა ჰქონდა გსკ-ის ვალდებულებითი სამართლის რეფორმამდე. თუმცა „ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შესახებ“ კანონის მთავარი სიახლე სწორედ ის ფაქტია, რომ ახალი ნივთის მიწოდება შესაძლებელია ასევე ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის შემთხვევაშიც.

მეცნიერთა ერთი ნაწილი⁸² დამატებითი შესრულების მოთხოვნას განსაზღვრავს როგორც თავდაპირველი შესრულების მოთხოვნის უფლების გაგრძელებას და მიიჩნევს, რომ არც ერთი სხვა ნივთი არ შეიძლება იყოს დამატებითი შესრულების საგანი, გარდა ხელშეკრულებით თავდაპირველად შეთანხმებული ნივთისა. იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ამ კონკრეტული ნივთის უნაკლოდ მიწოდება, სახეზეა შეუძლებლობა. სხვა ნივთის მიწოდება პრაქტიკულად გამოიწვევს ხელშეკრულების დარღვევას და მხარეთა შეთანხმების იგნორირებას.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ მოქმედებს მართლმსაჯულება. გერმანიის ცალკეული სასამართლოები⁸³ დასაშვებად მიიჩნევენ ახალი ნივთის მიწოდებას არა მხოლოდ მაშინ, როცა ხელშეკრულების საგანი გვაროვნული ნიშნებით განსაზღვრული ნივთია, არამედ ინდივიდუალური ნიშნებით განსაზღვრული ნივთის შემთხვევაშიც, მაგ.: შეთანხმებული ნახმარი მანქანის ნაცვლად იმავე ასაკისა და გავლილი კილომეტრების მანქანის მიწოდება.

გაბატონებული მოსაზრების თანახმად⁸⁴ კი, გასათვალისწინებელია გამყიდველისა და მყიდველის ჰიპოთეზური ნება ხელშეკრულების დადებისას. თუ მხარეებმა ნაკლიანი ნივთის

⁸⁰ *AnwKom-SchR/Büdenbender*, §439, Rn. 16; *Schulze/Ebers*, Jus 2004, 366, 369 f.; *Kohler ZGS* 2004, 48 ff.; anders aber die hM.: *Staudinger/Matusche-Beckmann*, §439, Rn. 56; *Bamberger/Roth/Faust*, §439, Rn. 30; *Westermann*, NJW 2002, 241, 249; ციტირებულია: *Gursky*, 58-ე სქ., 24.

⁸¹ *Moritz*, 67-ე სქ.

⁸² *Huber/Faust-Huber*, Schulrechtsmod., Kap. 13 Rn. 17 ff. (20 f.); *Huber*, NJW 2002, 1006; *Bamberger/Roth-Faust*, §439, Rn. 27; *Lorenz/Riehm-Lorenz*, Neues Schuldrecht, Rn. 505; *Wieling/Finkenauer-Finkenauer*, Fälle, Fall 1. I. 1. b) für Gebrauchtwagen; ციტირებულია: *Schuster*, 61-ე სქ.

⁸³ OLG Braunschweig NJW 2003, 1053; LG Ellwangen NJW 2003, 517, ციტირებულია: *Schuster*, 63-ე სქ.

⁸⁴ *Canaris*, JZ 2003 S.831; *Haas/Medicus-Haas*, Neus SchuldR, Kap. 5, Rn. 84; *Bitter/Meidt*, ZIP 2001, 2119; *Ehmann/Sutschet*, Mod. Schuldrecht § 7 IV 2 (S. 201); *Palandt/Putzo*, BGB 65, § 439, Rn. 15; *Medicus*, SBT, Rn. 56; ციტირებულია: *Schuster*, 61-ე სქ.

მინოდების შემთხვევაში დაუშვებს ამ ნივთის მსგავსით შეცვლის შესაძლებლობა, მაშინ მიზანშეწონილია, მოთხოვნილ იქნეს ახლის მინოდება, ხოლო როცა ერთ-ერთ მხარეს გაცხოველებული ინტერესი აქვს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი მხოლოდ არჩეული ნივთი იყოს, დაუშვებელია დამატებითი შესრულების სახით ახალი ნივთის მინოდების მოთხოვნა.

ბ) დამატებითი შესრულების ადგილი

როგორც სსკ-ის 490-ე მუხლი, ისე გსკ-ის 439-ე პარაგრაფი არ განსაზღვრავს დამატებითი შესრულების ადგილს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დამატებითი შესრულების მოთხოვნა მოდიფიცირებული შესრულების მოთხოვნის უფლებაა და შედეგები, განსაკუთრებით დამატებითი შესრულების ხარჯები, თავდაპირველი შესრულების ადგილზე ხორციელდება, ივარაუდება, რომ დამატებითი შესრულების ადგილიც ასევე თავდაპირველი შესრულების ადგილია.⁸⁵

ფინანსური დანახარჯები მყიდველს არ წარმოეშობა, ვინაიდან სსკ-ის 490-ე II მუხლისა და გსკ-ის 439-ე II პარაგრაფის მიხედვით, დამატებითი შესრულების ხარჯები გამყიდველს ეკისრება. თუმცა, სხვა შეხედულებით⁸⁶, დამატებითი შესრულების ადგილი ის ადგილია, სადაც მოცემულ შემთხვევაში ეს ნივთი იმყოფება.

გ) დამატებითი შესრულების ხარჯები

სსკ-ის 490-ე II მუხლის და გსკ-ის 439-ე II პარაგრაფის მიხედვით, დამატებითი შესრულებისათვის საჭირო დანახარჯები, კერძოდ: ტრანსპორტირების, გაზის, სამუშაოს შესრულებისა და მასალის ღირებულების ხარჯები ეკისრება გამყიდველს. ეს ცალსახად გამომდინარეობს დამატებითი შესრულების ბუნებიდან. გამყიდველი ხელშეკრულებით კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს მყიდველს უნაკლო ნივთი, რისთვისაც მან უნდა გასწიოს დანახარჯები, რომლებიც იმიტომ წარმოიშვა, რომ ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა.

დ) არჩევანის იურიდიული ბუნება და ბოჭვა არჩეულის გამო

დამატებითი შესრულების სახის არჩევა ხორციელდება ნაკლის გამოსწორების ან ახალი ნივთის მინოდების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში საქმე ეხება მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას, რომელიც არანაირ ფორმას არ მოითხოვს⁸⁷. გასათვალისწინებელია, რომ გამყიდველს ზუსტად უნდა ჰქონდეს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მოითხოვა მყიდველმა და რა ნაკლს ეყრდნობა მისი ეს მოთხოვნა. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად,⁸⁸ ერთხელ არჩეული დამატებითი შესრულების სახე უკუხმობას არ ექვემდებარება და ასევე არ შეიძლება იგი პირობადადებული იყოს. ნების გამოვლენის შემდეგ თავდაპირველი შესრულების მოთხოვნა იზღუდება დამატებითი შესრულების არჩეული სახით. აღნიშნული კი ეწინააღმდეგება გსკ-ის 439-ე პარაგრაფის კონცეფციას⁸⁹.

⁸⁵ *Huber in: Huber/Faust*, Kap. 13, Rn. 28; für die Nachlieferung Oechsler, Rn. 139, ციტირებულია: *Held*, მე-60 სქ.

⁸⁶ *Begründung RegE BT-Drs. 14/6040*, 231; *Bamberger/Roth/Faust*, §439 Rn.13; *Münch/KommBGB/Westermann*, Bd. 3, §439, Rn. 7; *Das neue Schuldrecht/Haas*, Kap.5 Rn.154; für die Nachbesserung auch Oechsler, Rn. 139; ციტირებულია: *Held*, მე-60 სქ.

⁸⁷ *Palandt/Putzo*, §439 Rn.6, ციტირებულია: *Held*, მე-60 სქ.

⁸⁸ *Erman/Grunewald*, §439 Rn.6; *AnwKomm-BGB-Büdenbender*, §439 Rn.1; *Jauerling/Berger*, §439 Rn.9; *Palandt/Putzo*, §439 Rn.6; ციტირებულია: *Held*, მე-60 სქ.

⁸⁹ *Jakobs in: Dauner-Lieb/Konzen/Schmidt*, 371, 376, ციტირებულია: *Held*, მე-60 სქ.

მყიდველს უნდა ჰქონოდა უფლება, თავისუფლად აერჩია დამატებითი შესრულების სახეები. თუ მყიდველი ერთ-ერთ არჩეულ სახეს უარყოფდა, მეორე სახეზე გადასვლის უფლება უნდა ჰქონოდა⁹⁰. ამ თვალსაზრისით, დამატებითი შესრულების ეს ორი სახე ერთმანეთთან არჩევით კონკურენციაში იმყოფებიან⁹¹. მაგრამ, თუ გამყიდველი მზადაა, მყიდველის მიერ არჩეული დამატებითი შესრულების სახე განახორციელოს, მაშინ იგი სათანადოდ უნდა იქნეს დაცული. სწორედ ამიტომ მყიდველი შებოჭილია თავისი მოთხოვნით გამყიდველის მიერ მისი შესრულების საბოლოო უარყოფამდე, გსკ-ის 242-ე პარაგრაფის (ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპი) თანახმად.⁹²

ვინაიდან სსკ დამატებითი შესრულების სახის განსაზღვრის უფლებას აძლევს თავად გამყიდველს, შესაძლებელია, მან თავდაპირველად არჩეული ნაკლის გამოსწორების ნაცვლად ახალი ნივთი გადასცეს მყიდველს, თუ ხელშეკრულების საგანი გვაროვნული ნივთი იყო. გამყიდველი თავად ეწევა დამატებითი შესრულების ხარჯებს და თავად უნდა განსაზღვროს, რა სახითაა შესაძლებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულება. მყიდველის უფლებები ამ შემთხვევაში არ ილახება, ვინაიდან მისი ძირითადი ინტერესი, უნაკლო ნივთის გადაცემა, საბოლოოდ მაინც კმაყოფილდება.

ე) გამყიდველის სამართლებრივი დაცვის საშუალებაანი

სსკ-ის 490-ე III მუხლის მიხედვით, გამყიდველს შეუძლია, უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. შეუსაბამოდ დიდი ხარჯები აბსტრაქტული ცნებაა, რომლის კონკრეტიზაციაში უდიდესი როლი აკისრია მართლმსაჯულებას.

ასეთსავე უფლებას ანიჭებს გსკ-ის 439-ე III პარაგრაფის პირველი წინადადება გამყიდველს, თუმცა სსკ-ისაგან განსხვავებით, აქ დაკონკრეტებულია, თუ როგორია შეუსაბამო ხარჯები. გარდა სპეციალური ნორმისა, რომელიც კონკრეტულად ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ თავშია, გამყიდველს ეკუთვნის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებული დაცვის საშუალებანიც. ზოგადი ნაწილის დებულებებიდან გამომდინარეობს, რომ გამყიდველი არ არის ვალდებული, შეასრულოს მყიდველის მიერ არჩეული დამატებითი შესრულების სახე, თუ ეს გსკ-ის 275-ე I პარაგრაფის მიხედვით შეუძლებელია. ამ შემთხვევაში დამატებითი შესრულების განხორციელება კანონითაა გამორიცხული⁹³. თუ დამატებითი შესრულების ორივე სახის განხორციელება შეუძლებელია, მაშინ წყდება დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება და შესაძლებელია ისეთი მეორადი მოთხოვნის უფლებებზე გადასვლა, როგორებიცაა: ხელშეკრულებიდან გასვლა და ფასის შემცირება. შეუძლებლობა სახეზეა, როცა დამატებითი შესრულება არ შეუძლია არც ერთ ადამიანს (ობიექტური შეუძლებლობა), ან როცა, სულ მცირე, გამყიდველს არ შესწევს ძალა, თვითონ გამოასწოროს ეს ნაკლი, ან დაავალოს იგი მესამე პირს (სუბიექტური შეუძლებლობა)⁹⁴.

⁹⁰ *Derleder* in: *Dauner-Lieb/Konzen/Schmidt*, 411, 424; *Jacobs* in: *Dauner-Lieb/Konzen/Schmidt*, 371, 376. *Wenzel*, DB 2003, 1887, 1891; ციტირებულია: *Held*, მე-60 სქ.

⁹¹ *Oetker/Maultzsch*, 91; *Bamberger/Roth/Faust*, §439 Rn.9; *MünchKommBGB/Westermann*, Bd. 3, §439 Rn. 4; *Spickhoff*, BB 2003, 589, 593; ციტირებულია: *Held*, მე-60 სქ.

⁹² *Bamberger/Roth/Faust*, §439 Rn.10; *Spickhoff*, BB 2003, 589, 593; *MünchKomm BGB/Westermann*, Bd. 3, §439 Rn. 5; *Jakobs* in: *Dauner-Lieb/Konzen/Schmidt*, 371, 377; *Oetker/Maultzsch*, S.91; ციტირებულია: *Held*, მე-60 სქ.

⁹³ *Held*, მე-60 სქ.

⁹⁴ *Palandt/Heinrichs*, §275 Rn. 13 ff., 23 ff., ციტირებულია: *Held*, მე-60 სქ.

გარდა 275-ე I პარაგრაფისა, გსკ შესაძლებლობას აძლევს გამყიდველს, უარყოს მყიდველის მიერ არჩეული დამატებითი შესრულების სახე 275-ე II პარაგრაფითა (პრაქტიკული ანუ ფაქტობრივი შეუძლებლობა) და 275-ე III პარაგრაფით (მორალური ანუ ფსიქოლოგიური შეუძლებლობა) გათვალისწინებულ შემთხვევებში. თუმცა ამ უკანასკნელთა გამოყენების სფერო გაცილებით მცირეა ნასყიდობის ხელშეკრულებაში, ვინაიდან გსკ-ის 439-ე III პარაგრაფი გამყიდველს დაცვის უფრო ეფექტური საშუალებით აღჭურავს, ვიდრე ამას 275-ე II-III პარაგრაფი ითვალისწინებს.

439-ე III პარაგრაფის თანახმად, გამყიდველს შეუძლია, კრედიტორის მიერ არჩეული დამატებითი შესრულების სახე უარყოს, მიუხედავად 275-ე II-III პარაგრაფის მოთხოვნებისა, თუ ეს დამატებითი შესრულების სახე მხოლოდ არაპროპორციული დანახარჯითაა შესაძლებელი. არაპროპორციული დანახარჯის განსაზღვრისას კი მხედველობაში მიიღება ნივთის ღირებულება უნაკლო მდგომარეობაში, ნაკლის მნიშვნელობა და საკითხი, შესაძლებელია თუ არა დამატებითი შესრულების მეორე სახით მოხდეს ნაკლის გამოსწორება მყიდველისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე. ამ შემთხვევაში მყიდველის მოთხოვნა იზღუდება დამატებითი შესრულების მეორე სახეობით, რომლის უარყოფაც ასევე შესაძლებელია, თუ არსებობს პირველი წინადადებით გათვალისწინებული წინაპირობები (გსკ-ის 439-ე III პარაგრაფი).

არაპროპორციული ხარჯების თაობაზე გერმანულმა მართლმსაჯულებამ დამოუკიდებელი პრაქტიკა განავითარა. თუმცა იგი გსკ-ის 251-ე II პარაგრაფის პირველ წინადადებას ეყრდნობა, რომელიც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ნაცვლად ფულის გადახდას ითვალისწინებს, თუ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა არაპროპორციულ დანახარჯებს მოითხოვს. გავრცელებული შეხედულებით⁹⁵, ნაავარიევი ავტომანქანის მიწოდებისას დაუშვებელია ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნა, თუ ამისათვის მსგავსი ავტომანქანის თვითღირებულების 130%-ზე მეტია საჭირო. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული მოთხოვნა უფრო მკაცრ წინაპირობებს მოითხოვს, ვიდრე გსკ-ის 439-ე III პარაგრაფი, ამიტომ მისი გამოყენება ნასყიდობის ხელშეკრულებაში ნაკლებად მოსალოდნელია.

IV. ხელშეკრულებიდან გასვლა

ა) ხელშეკრულებიდან გასვლის ცნება

ხელშეკრულებიდან გასვლის ცნებაში მოიაზრება მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულების ანუღირება ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის მეშვეობით⁹⁶, რომელსაც არ სჭირდება აქცეპტირება გამყიდველის მხრიდან⁹⁷. გასვლის თაობაზე ნების გამოვლენის გამყიდველთან მისვლის მომენტიდან მყიდველი შებოჭილია თავისი განცხადებით. მას არ აქვს ე. წ. *ius variandi*, რაც იმას ნიშნავს, რომ არ აქვს უფლება, განახორციელოს სხვა მეორადი მოთხოვნის უფლებები. კერძოდ, არ შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება, ან დაუბრუნდეს კვლავ დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებას⁹⁸. ხელშეკრულებიდან გასვლა დაიშვება მყიდველის მიერ ნაკლის გამოსწორებისათვის დანესებული ვადის უშედეგოდ გასვლის, ასეთი

⁹⁵ Westermann, Kaufrecht im Wandel in: Schulze/Schulte-Nölke, 109, 125; ders. kritisch zum Rückgriff auf die Formel zu §251 II 1 in MünchKommBGB, Bd.3, §439 Rn.20; Jauerling/Chr.Berger, §439 Rn.15. Jedoch beim Kauf vom Verbraucher nur 110%; ციტირებულია: Held, მე-60 სქ.

⁹⁶ Moritz, Rechtsgrundlagen für die Rücktrittsmöglichkeit, <http://bgb.jura.uni-hamburg.de/einwand/346ff-ruecktritt.htm>, 14.01.2008.

⁹⁷ Gursky, 58-ე სქ., 25.

⁹⁸ იქვე.

ვადის დანესების ამაოების, შესრულების შეუძლებლობის ან არჩეული დამატებითი შესრულების სახის გამყიდველის მიერ უარყოფის შემთხვევაში. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა დაუშვებელია, თუ არ არსებობს გასვლის საფუძველი⁹⁹. ასეთი საფუძველი კი ნაკლიანი ნივთის მიწოდებაა. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული გასვლა¹⁰⁰.

სადავო ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების არსებობის საკითხი ცესიის შემთხვევაში: გაბატონებული მოსაზრების თანახმად,¹⁰¹ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება რჩება ცედენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოთხოვნის დათმობისას ამ უფლების გადასვლა მხარეებმა ცალსახად და მკაფიოდ დააფიქსირეს. აღნიშნული ეხება მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, როგორც ასეთს. რაც შეეხება წინაპირობებს, იგი თავად უნდა შექმნას ცესიონარმა, როგორც მოთხოვნის მფლობელმა.¹⁰²

სხვა შეხედულების მიხედვით, ცესიონარი, როგორც მოთხოვნის მფლობელი, ასევე ითვლება გასვლაზე უფლებამოსილ პირადაც.¹⁰³

სსკ-ის 491-ე მუხლის მიხედვით, მყიდველს შეუძლია, ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლის მიხედვით. მიზანშეწონილია, ტერმინ „მოშლის“ დაზუსტება მოხდეს „გასვლით“, რაც დასტურდება შემდეგი გარემოებებით:

1. მოშლა მხოლოდ გრძელვადიან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას¹⁰⁴ ახასიათებს, ხოლო ნასყიდობა მოკლევადიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობაა;
2. ხელშეკრულებიდან გასვლის ერთ-ერთ წინაპირობაა ვალდებულების არსებითი დარღვევა¹⁰⁵, მაშინ როცა ხელშეკრულების მოშლა დაიშვება ნებისმიერ შემთხვევაში.
3. სსკ-ის 491-ე მუხლი მიუთითებს სსკ-ის 352-ე მუხლზე, რომელიც ეხება ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს და არა მოშლისას.

ბ) ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმებთან მიმართება

როგორც სსკ, ასევე გსკ ხელშეკრულებიდან გასვლისათვის მიუთითებენ ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმებზე. აღნიშნული იმას ადასტურებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში აუცილებელია იმ ზოგადი წინაპირობების გათვალისწინება, რომლებიც ზოგადი ნაწილითაა დანესებული. სსკ-ში არის არა რაიმე დამატებითი მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებისათვის, არამედ პირდაპირ მიუთითებს 352-ე მუხლზე, რომელიც, თავის მხრივ, შეიცავს 405-ე მუხლზე მითითებას.

სსკ-ისაგან განსხვავებით, გსკ არა მხოლოდ მიუთითებს ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმებზე, არამედ ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ თავში ადგენს ისეთ სპეციალურ წესებს, რომლებიც მხოლოდ ნასყიდობაში უნდა იქნეს გათვალისწინ-

⁹⁹ Voraussetzungen des Rücktritts bei einer Schlechtleistung („Mangel“) beim Autokauf, <http://www.autokauf-und-recht.de/node/343>, 14.01.2008.

¹⁰⁰ Voraussetzungen des Rücktritts bei einer Schlechtleistung („Mangel“) beim Autokauf, 99-ე სქ.

¹⁰¹ BGH NJW 1985, 2640, 2641f, ციტირებულია: *Moritz*, 96-ე სქ.

¹⁰² *Moritz*, 96-ე სქ.

¹⁰³ შეად. MünchKomm/Emmerich, §325 Rn.34; MünchKomm/Roth §398 Rn. 99; ციტირებულია: *Moritz*, 96-ე სქ.

¹⁰⁴ გრძელვადიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა არის ხელშეკრულება, რომლის შესრულება არ ხდება ერთჯერადი შესრულებისა და საპასუხო შესრულების გზით (როგორც, მაგალითად, ნასყიდობაში ან ნარდობის ხელშეკრულებაშია), არამედ ხასიათდება განგრძობადი შესრულებებით ხელშეკრულების ორივე მხარის მიერ (ქირა, იჯარა, შრომის ხელშეკრულება), Dauerschuldverhältnis, <http://de.wikipedia.org/wiki/Dauerschuldverh%C3%A4ltnis>, 15.01.2008.

¹⁰⁵ იხ. *Gursky*, მე-58 სქ., 26.

ნებული. 440-ე პარაგრაფის მიხედვით, გარდა 281-ე II პარაგრაფითა¹⁰⁶ და 323-ე II პარაგრაფით¹⁰⁷ გათვალისწინებულისა, ვადის დაწესებას აზრი არა აქვს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველმა დამატებითი შესრულების ორივე სახე უარყო 439-ე III პარაგრაფის¹⁰⁸ თანახმად, ან მყიდველის მიერ არჩეული დამატებითი შესრულება ვერ განხორციელდა, ან მისთვის მიუღებელია. ნაკლის გამოსწორება ჩაითვლება განუხორციელებლად მეორე უშედეგო ცდის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნივთის ან ნაკლის სახეობიდან ან განსაკუთრებული გარემოებებიდან სხვა რამ გამომდინარეობს.¹⁰⁹

ვინაიდან სსკ არ შეიცავს სპეციალურ ნორმებს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლისათვის, ამიტომ გამოიყენება სსკ-ის 405-ე II მუხლი. აქედან გამომდინარეობს, რომ გასვლის მომწესრიგებელი ნორმები კონკრეტულად ნასყიდობის ხელშეკრულებაში ყოველგვარი დამატებითი ან განსხვავებული წესების გარეშე გამოიყენება. განსხვავებულს ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი თავი არაფერს შეიცავს, გარდა იმ ზოგადი დათქმისა, რომ გამყიდველმა უნდა აუნაზღაუროს მყიდველს განუხორციელებელი დანახარჯები.

მიზანშეწონილი იქნებოდა, გსკ-ის მსგავსად გათვალისწინებულიყო ის სპეციფიკური დამატებითი წინაპირობები, რასაც გსკ-ის 440-ე პარაგრაფი შეიცავს, ვინაიდან ნასყიდობის ხელშეკრულების, როგორც ყველაზე უფრო გავრცელებულისა და ხშირად გამოყენებადის, მოქცევა ისეთსავე სამართლებრივ რეჟიმში, როგორშიც სხვა დანარჩენი ხელშეკრულებებია, არახელსაყრელია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთათვის.

გ) ხელშეკრულებიდან გასვლის მიზანი

ხელშეკრულებიდან გასვლის მიზანი ამ ხელშეკრულების ანულისა,¹¹⁰ ანუ ხელშეკრულების თითოეული მხარის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებაა, როგორშიც იქნებოდნენ, ეს ხელშეკრულება რომ არ დადებულიყო მათ შორის. გასვლა მიზნად ისახავს, აღადგინოს ხელშეკრულების დადებამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობა – *status quo ante contractum*.¹¹¹

დ) ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები

ხელშეკრულებიდან გასვლას, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა უფლების გამოყენებას, სჭირდება წინაპირობები. მათი კუმულაციური არსებობა იძლევა ხელშეკრულებიდან გასვლის

¹⁰⁶ 281-ე II პარაგრაფის მიხედვით, ვადის დაწესებას აზრი არ აქვს, როდესაც მოვალე შესრულებას დაჟინებით და საბოლოოდ უარყოფს, ან, როდესაც არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით ამართლებენ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაუყოვნებლივ განხორციელებას.

¹⁰⁷ 323-ე II პარაგრაფის მიხედვით, ვადის დაწესებას აზრი არ აქვს, როდესაც მოვალე ვალდებულება არ შეასრულა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ან განსაზღვრული ვადის განმავლობაში და კრედიტორმა ხელშეკრულების გაგრძელება დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას.

¹⁰⁸ 439-ე III 1 პარაგრაფის მიხედვით, გამყიდველს შეუძლია უარყოს მყიდველის მიერ არჩეული დამატებითი შესრულების სახე, მიუხედავად 275-ე II-III პარაგრაფისა, თუ მისი შესრულება მხოლოდ არაპროპორციული ხარჯებითაა შესაძლებელი.

¹⁰⁹ აღნიშნული ნორმის ახსნა ყველაზე უკეთ შეიძლება პრაქტიკული მაგალითის საფუძველზე: ავტომანქანას აღმოაჩნდა ნაკლი. მყიდველი ითხოვს ნაკლის გამოსწორებას, რასაც ასრულებს კიდევ გამყიდველი. თუმცა ავტომობილის შეკეთების შემდეგ, ცოტა ხანში, კვლავ თავს იჩენს იგივე ნაკლი. 440-ე II პარაგრაფის მიხედვით, მყიდველს არ შეუძლია, გასვლა მოითხოვოს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, არამედ კიდევ ერთხელ უნდა მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება და მხოლოდ მეორე უშედეგო ცდის შემდეგ მიეცემა ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობა. იხ. Voraussetzungen des Rücktritts bei einer Schlechtleistung ("Mangel") beim Autokauf, 99-ე სქ.

¹¹⁰ Gursky, 58-ე სქ., 25.

¹¹¹ BT-Drs.14/6040, 189, ციტირებულია: Hütte/Helbron, Schuldrecht, Allgemeiner Teil, 3. Auflage, 2005, 177.

სამაგისტრო ნაშრომები

უფლების გამოყენების შესაძლებლობას. მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ ის ზოგადი წინაპირობები, რომლებიც საერთოა ნებისმიერი მეორადი მოთხოვნის უფლებისათვის, არამედ კონკრეტულად ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი თავით გათვალისწინებული მეორადი მოთხოვნის უფლებათა წინაპირობებიც.

ა) ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი

როგორც აღინიშნა, ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საჭიროა არსებობდეს საფუძველი. ამ საფუძველებს მიეკუთვნება:

1. ნაკლიანი ნივთის მიწოდება;
2. ვადის დაწესება დამატებითი შესრულებისათვის (ვადის დაწესების ამაოება);
3. ვალდებულების არსებითი დარღვევა;
4. ხელშეკრულებიდან გასვლის გამორიცხვის დაუშვებლობა;
5. დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის დაუშვებლობა.

1. ნაკლიანი ნივთის მიწოდება

როგორც ყველა მეორადი მოთხოვნის უფლება, ხელშეკრულებიდან გასვლაც ითვალისწინებს მოვალის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევას. ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში კი ასეთ დარღვევა ნაკლის მქონე ნივთის მიწოდებაა. როგორც ნივთობრივი, ასევე უფლებრივი ნაკლი ქმნის ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობას.

2. ვადის დაწესება დამატებითი შესრულებისათვის (ვადის დაწესების ამაოება)

ხელშეკრულებიდან გასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც მყიდველმა მოითხოვა დამატებითი შესრულება გამყიდველისაგან და ამ უკანასკნელს ამისათვის საჭირო დროც დაუნესა, თუმცა აღნიშნული ვადა უშედეგოდ გავიდა.¹¹² როგორც სსკ-ის 405-ე I მუხლი, ასევე გსკ-ის 323-ე I პარაგრაფი მიუთითებენ იმაზე, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა არ შეიძლება არსებობდეს როგორც დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლების ალტერნატივა, არამედ მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ ამ მეორადი მოთხოვნის უფლების შესრულებისათვის დაწესებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ, რაც ხაზს უსვამს დამატებითი შესრულების მეორადი მოთხოვნის უფლების პირველობას დანარჩენ მეორადი მოთხოვნის უფლებებს შორის და ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების დამოკიდებულებას დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებაზე¹¹³.

გარდა იმ ზოგადი წესისა, რომ ვადა უშედეგოდ უნდა იყოს გასული, არსებობს შემთხვევებიც, როდესაც ამ ვადის დაწესება არ არის საჭირო და შესაძლებელია, ხელშეკრულებიდან გასვლა ვადის დაუცველადაც განხორციელდეს. სსკ-ის 405-ე II მუხლის მიხედვით:

არ არის აუცილებელი დამატებითი ვადის დაწესება ან გაფრთხილება, თუ:

ა) აშკარაა, რომ მას არავითარი შედეგი არ ექნება – ეს ის შემთხვევებია, როდესაც ნივთის თვისებრიობა ან სხვა ობიექტური მიზეზები არ იძლევა ნაკლის გამოსწორების შესაძლებლობას ან მოვალის მიერ გაიხსნა საგაკოტრებო წარმოება¹¹⁴.

¹¹² სსკ-ის 405-ე I მუხლი, გსკ-ის 323-ე I პარაგრაფი.

¹¹³ Gursky, 58-ე სქ., 24.

¹¹⁴ ჩაჩავა, მე-13 სქ., 53.

ბ) ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას – ამ შემთხვევაში საქმე ეხება ე.წ. „ვადაზე დამყარებულ ხელშეკრულებებს“.¹¹⁵ თუ მყიდველი ტორტის სანთლებს მხოლოდ იმიტომ ყიდულობს, რომ იგი თავისი დაბადების დღისთვის სჭირდება და გამყიდველმა ეს სანთლები არ მიუტანა შეთანხმებულ დროს, მყიდველს ეკარგება ინტერესი დამატებითი შესრულების მიმართ, ვინაიდან მისი დაბადების დღე უკვე იყო და სანთლების საჭიროებაც აღარ არსებობს. ამიტომ მას შეუძლია, ვადის დაწესების გარეშე გავიდეს ხელშეკრულებიდან.

გ) განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა¹¹⁶ – ამ შემთხვევაში საქმის გარემოებათა შეფასების შედეგად უნდა იქნეს გადაწყვეტილება მიღებული. თუმცა ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას შეუძლია, მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ამ აბსტრაქტული ნორმის კონკრეტიზაციაში.

აღნიშნული მუხლი გსკ-ის 323-ე II პარაგრაფის ანალოგიურია,¹¹⁷ თუმცა იმ განსხვავებით, რომ ამავე მუხლის III ნაწილის მიხედვით: „თუ ვალდებულების დარღვევის სახეობიდან გამომდინარე არ არის საჭირო დამატებითი ვადის დაწესება, მაშინ მის ადგილს იკავებს გაფრთხილება. სსკ-ის 405-ე მუხლის მიხედვით კი, ამ შემთხვევაში არც გაფრთხილება და არც დამატებითი ვადის დაწესება არ არის საჭირო. მიზანშეწონილია, გაანალიზდეს ის ფაქტი, რომ როგორც სსკ, ასევე გსკ აწესებენ ერთნაირ საფუძვლებს ვადის დაწესების არააუცილებლობისათვის, თუმცა, გსკ-ის მიხედვით, მის ადგილს იკავებს გაფრთხილება, ხოლო სსკ-ის მიხედვით, გაფრთხილებაც კი არ არის საჭირო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით ხდება,¹¹⁸ ცხადია, აუცილებელი იქნება ამ მხარის გაფრთხილებაც, სანამ გასვლაზე უფლებამოსილი პირი აღნიშნულ უფლებას განახორციელებდეს. ამიტომ მიზანშეწონილია, გსკ-ის მსგავსად სსკ-შიც გაფრთხილებამ დამატებითი ვადის დაწესების ადგილი დაიკავოს სსკ-ის 405-ე II მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

როგორც აღინიშნა, სსკ მთლიანად ეყრდნობა ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმებს ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხში, მაშინ, როდესაც გსკ ამ ნორმების მოდიფიკაციას სპეციალურად ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის ახდენს 440-ე პარაგრაფის მეშვეობით¹¹⁹.

3. ვალდებულების არსებითი დარღვევა

ხელშეკრულებიდან გასვლის მთავარი გამმიჯნავი კრიტერიუმი ისეთი მეორადი მოთხოვნის უფლებისაგან, როგორც ფასის შემცირებაა, არის ვალდებულების არსებითი დარღვევა. მიუხედავად ყველა წინაპირობის ერთდროულად არსებობისა, რომლებიც საჭიროა

¹¹⁵ იქვე.

¹¹⁶ მიზანშეწონილია, კიდევ ერთხელ აღინიშნოს იმის თაობაზე, რომ სსკ-ის 405-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში, ისევე როგორც 491-ე მუხლში, დაშვებულია ტერმინოლოგიური უზუსტობა. კანონმდებელს ნაცვლად „მოშლისა“ უნდა ეხმარა „გასვლა“, ვინაიდან საქმე ეხება სწორედ დამატებითი ვადის დაწესებას ნაკლის გამოსწორებისათვის და ამ ვადის უშედეგოდ გასვლას, რაც ხელშეკრულებიდან გასვლაა და არა ხელშეკრულების მოშლის წინაპირობა. ასევე მხედველობაშია მისაღები გსკ-ის §323-ის II პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი, რომლის ანალოგიც არის სსკ-ის 405-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი და რომელიც სწორედ ტერმინ „გასვლას“ (*Rücktritt*) იყენებს.

¹¹⁷ იხ. გსკ-ის 323-ე II პარაგრაფი.

¹¹⁸ გსკ-ის 349-ე პარაგრაფი; სსკ-ის 355-ე მუხლი.

¹¹⁹ *Held*, მე-60 სქ.

ხელშეკრულებიდან გასვლისათვის, მხარე ვერ განახორციელებს ამ უფლებას, თუ სახეზე ვალდებულების არაარსებითი დარღვევაა.¹²⁰ აღნიშნულზე მიუთითებს როგორც სსკ-ის 405-ე III მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ასევე გსკ-ის 323-ე V პარაგრაფის მე-2 ქვეპუნქტი.

აღნიშნული ნორმის აბსტრაქტული კრიტერიუმები საჭიროებს შევსებას სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით, ვინაიდან როგორც ქართველმა, ისე გერმანელმა კანონმდებელმა არ მოახდინა ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევის კონკრეტიზაცია და იგი მოსამართლეს მიანდო. გავრცელებული შეხედულებით,¹²¹ ნაკლი უმნიშვნელოა, თუ იგი თავისთავად გაქრება ხანმოკლე დროის გასვლის შემდეგ, ან ამ ნაკლის აღმოფხვრა თავად შეუძლია მყიდველს განსაკუთრებული დანახარჯების გარეშე. გერმანული მართლმსაჯულება¹²² კიდევ უფრო კონკრეტულ კრიტერიუმებს აყალიბებს ნახმარი ავტომობილის ნასყიდობის შემთხვევაში. ამ გადაწყვეტილებების მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არ არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთის ნაკლის გამოსწორება ჯდება ნაყიდი ავტომობილის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის 5%-ზე ნაკლები, რადგან ეს ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევაა.

მხედველობაშია მისაღები გარემოება, რომ, მიუხედავად ნაკლის უმნიშვნელობისა, მაინც არსებობს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველმა ნივთის ნაკლის შესახებ იცოდა და იგი ბოროტი განზრახვით დამალა.¹²³

4. ხელშეკრულებიდან გასვლის გამორიცხვის დაუშვებლობა

ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლოა გამორიცხოს ხელშეკრულების საფუძველზე ან კანონის ძალით.

სსკ-ის 497-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს ან გამორიცხოს გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას, მაგრამ ასეთი შეთანხმება ბათილი იქნება, თუ გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ. გსკ-ის 444-ე პარაგრაფის თანახმად კი: გამყიდველს არ შეუძლია, დაეყრდნოს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც მყიდველის უფლებები ნაკლის გამო გამორიცხება ან იზღუდება, თუ მან აღნიშნული ნაკლი ბოროტი განზრახვით დამალა, ან აღნიშნული ნივთის თვისებრიობაზე გარანტია ჰქონდა მიცემული.

შედარებიდან იკვეთება, რომ საფუძველი, რომელიც გამორიცხავს მსგავსი სახელშეკრულებო შეთანხმების გამოყენებას, უფრო ფართოა გსკ-ის მიხედვით. თუ სსკ გამორიცხვის შესაძლებლობას მხოლოდ მაშინ იძლევა, როდესაც გამყიდველმა განზრახ დამალა ნივთის ნაკლი, გსკ დამატებით ითვალისწინებს გამყიდველის მიერ გარანტიის მიცემას, როგორც სახელშეკრულებო შეთანხმების გამოყენების დაუშვებლობის წინაპირობას.

აღსანიშნავია ასევე ის, რომ გსკ განსხვავებულ რეგულირებას გვთავაზობს იმ შემთხვევაში, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებაში მონაწილეობს მომხმარებელი. ამ დროს გამყიდველის პასუხისმგებლობის სრული გამორიცხვა ნაკლიანი ნივთის მიწოდების შემთხვევაში

¹²⁰ *Medicus*, 68-ე სქ., 25.

¹²¹ შეად. *Palandt/Putzo*, BGB, §437 Rn. 23 m.w.N, ციტირებულია: Zur Frage, wann eine unerhebliche Pflichtverletzung bzw. ein unerheblicher (Sach-)Mangel vorliegt, <http://www.autokauf-und-recht.de/node/347>, 14.01.2008.

¹²² LG Kiel, Urteil vom 03.11.2004, MDR 2005, 384; auch OLG Düsseldorf, Beschluss vom 27.02.2004, NJW-RR 2004, 1060; ციტირებულია: Zur Frage..., 121-ე სქ.

¹²³ BGH vom 24.03.2006, V ZR 173/05, ციტირებულია: Voraussetzungen des Rücktritts bei einer Schlechtleistung ("Mangel") beim Autokauf, 99-ე სქ.

¹²⁴ Voraussetzungen des Rücktritts bei einer Schlechtleistung ("Mangel") beim Autokauf, 99-ე სქ.

შეუძლებელია.¹²⁴ ასეთი პირობის ხელშეკრულებაში ჩადების შემთხვევაში კი ხელშეკრულება ამ ნაწილში ბათილად ჩაითვლება.¹²⁵

რაც შეეხება ხელშეკრულებიდან გასვლის გამორიცხვას კანონის ძალით, მას ეხება სსკ-ის 405-ე III მუხლი, რომლის „გ“ ქვეპუნქტი შეესაბამება გსკ-ის 323-ე VI პარაგრაფის I ქვეპუნქტის ალტერნატივას. აღნიშნული მუხლის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლა გამორიცხულია, თუ კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ იყო პასუხისმგებელი იმ გარემოებების წარმოშობაზე, რომლებიც იძლევიან ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებამოსილებას.

სსკ-ის მიხედვით, ხელშეკრულებაზე უარი ასევე დაუშვებელია, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა (405-ე III მუხლის „ა“ ქვეპუნქტი), ან დარღვეულია 316-ე II მუხლის მოთხოვნები და, ამის მიუხედავად, კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება (405-ე III მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ან მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარადგინა, ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ (405-ე III მუხლის „დ“ ქვეპუნქტი),

გსკ-ის 323-ე VI პარაგრაფის II ქვეპუნქტის ალტერნატივის მიხედვით კი, ხელშეკრულებიდან გასვლა ასევე გამორიცხულია, როდესაც ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შემდეგ წარმოიშვა და მოვალეს ამაში ბრალი არ მიუძღვის. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მხოლოდ უფლებრივი ნაკლის არსებობისას.¹²⁶

5. დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის დაუშვებლობა

ხელშეკრულებიდან გასვლა მისი სამართლებრივი ბუნების გამო არ შეიძლება იყოს ხანდაზმული¹²⁷, ვინაიდან, სსკ-ის 128-ე I მუხლის მიხედვით, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ხელშეკრულებიდან გასვლა კი არ არის სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნა. სწორედ ამიტომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყლდება მაშინ, როდესაც დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია და გამყიდველი ამას ეყრდნობა.¹²⁸ გსკ ნასყიდობის ხელშეკრულები-სათვის ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებს ითვალისწინებს¹²⁹. სსკ ასეთ განსხვავებულ წესს ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ თავში არ შეიცავს, ამიტომ გამოიყენება ზოგადი ნაწილის ნორმები ხანდაზმულობის ვადების თაობაზე (სსკ-ის 129-ე მუხლი).

ზემოაღნიშნული ეხება შემთხვევას, როდესაც გამყიდველმა ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა არ განუსაზღვრა მყიდველს სსკ-ის 356-ე მუხლისა და გსკ-ის 350-ე პარაგრაფის მიხედვით. თუ გასვლის ვადა განსაზღვრული იყო და მყიდველმა არც დროის განმავლობაში არ გამოავლინა ნება, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ქარწყლდება.¹³⁰

¹²⁵ გსკ-ის 474-ე-479-ე პარაგრაფები. აღსანიშნავია ის, რომ აღნიშნული რეგულირების შემოტანა გსკ-ში განპირობებულია ევროკავშირის დირექტივის „მომხმარებლის მონაწილეობით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ზოგიერთი ასპექტის თაობაზე“ მოთხოვნებით. იხ. 74-ე სქ.

¹²⁶ ამასთან დაკავშირებით დანვრილებით იხ. *Gursky*, 58-ე სქ., 26.

¹²⁷ *Moritz*, 96-ე სქ.

¹²⁸ *Gursky*, 58-ე სქ., 26.

¹²⁹ გსკ-ის 438-ე პარაგრაფი.

¹³⁰ *ჩაჩავა*, მე-13 სქ., 55.

ბ) ნების გამოვლენა გასვლის თაობაზე

სსკ-ის 355-ე მუხლისა და გსკ-ის 349-ე პარაგრაფის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის შეტყობინებით. მუხლის ფორმულირებიდან იკვეთება, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა საჭიროებს ცალმხრივ მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას.¹³¹ რადგან საქმე ეხება ნების გამოვლენას, აუცილებელია, იგი ჩაბარდეს ადრესატს.¹³²

ნების გამოვლენა შეიძლება მოხდეს ყოველგვარი ფორმის დაუცველად.¹³³

მისი სამართლებრივი ბუნების გამო იგი არ შეიძლება რაიმე პირობით იქნეს გამოვლენილი.¹³⁴

ე) ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი შედეგები

ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგებს ანესრიგებს სსკ-ის 352-ე-358-ე მუხლები, რომლებიც გსკ-ის 346-ე-352-ე პარაგრაფების ანალოგიურია.

ხელშეკრულებიდან გასვლის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი შედეგი ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა ძირითადი ვალდებულებების¹³⁵ შეწყვეტაა¹³⁶. ხელშეკრულებიდან გასვლა გულისხმობს არა ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარსული დროისათვის წარმოშობილი ურთიერთობების გაუქმებას ან ამ შედეგების გაბათილებას მომავლისათვის, არამედ მხოლოდ მის (ხელშეკრულების) შინაარსობრივ ცვლილებას.¹³⁷ ჯერ კიდევ შეუსრულებელი ძირითადი ვალდებულებები განხორციელებას აღარ ექვემდებარება¹³⁸. თუ მყიდველს ჯერ არ გადაუხდია ფასი, შეწყდება გამყიდველის ფასის გადახდის მოთხოვნის უფლება.¹³⁹

აა) ნატურით დაბრუნება

ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია, უკან დააბრუნოს ნაყიდი ნივთი სსკ-ის 352-ე I მუხლის და გსკ-ის 346-ე I პარაგრაფის შესაბამისად, ხოლო გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს გადახდილი ფული. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების ორივე მხარეს აღუდგება ის ქონებრივი მდგომარეობა, რომელშიც იყვნენ ხელშეკრულების დადებამდე. შეიძლება ითქვას, რომ გასვლა ყველაზე მეტად მოცემულ შემთხვევაში აღწევს მიზანს, რაც გამოიხატება კოტრაქტისშემდგომი სამართლებრივი შედეგების სრული ლიკვიდაციითა და მხარეთა პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენით.

ბბ) ფულადი კომპენსაცია

ნატურით დაბრუნება ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ხელშეკრულების ორივე მხარისათვის. თუმცა, მიწოდებული ნივთის ბუნებრივი თვისებებიდან ან ობიექტური გარემოებებიდან

¹³¹ Moritz, 96-ე სქ.

¹³² Voraussetzungen des Rücktritts bei einer Schlechtleistung ("Mangel") beim Autokauf, 99-ე სქ.

¹³³ Erman/Bezenberg, §349 Rn.1, 2; Bamberger/Roth/Grothe, §349 Rn.1; ციტირებულია: Held, მე-60 სქ.

¹³⁴ Palandt/Heinrichs, §349 Rn. 1; Bamberger/Roth/Grothe, Vor §346 Rn. 6; ციტირებულია: Held, მე-60 სქ.

¹³⁵ ნასყიდობის ხელშეკრულებაში გამყიდველის ძირითადი ვალდებულებაა მყიდველისათვის ნაყიდი ნივთისა და ამ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა, მყიდველის ძირითადი ვალდებულება კი შეთანხმებული ფასის გადახდა.

¹³⁶ Moritz, 96-ე სქ.

¹³⁷ Palandt/Heinrichs, Einf v §346, Rn. 6; Bamberger/Roth/Grothe, Vor §346 Rn. 9; ციტირებულია: Held, მე-60 სქ.

¹³⁸ Medicus, 66-ე სქ., 25.

¹³⁹ Gursky, 58-ე სქ., 26.

გამომდინარე, ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ამ შემთხვევაში ნატურით დაბრუნება იცვლება ფულადი კომპენსაციის ვალდებულებით. მსგავს შემთხვევებს არეგულირებს სსკ-ის 352-ე II მუხლი და გსკ-ის 346-ე II პარაგრაფი. ნატურით დაბრუნების ნაცვლად მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურება, თუ:

- ა) შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხულია მისი დაბრუნება;
 - ბ) მიღებულ საგანს მხარე გამოიყენებს, გაასხვისებს, უფლებრივად დატვირთავს, გადაამუშავებს ან გადააკეთებს;
 - გ) მიღებული საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა;
- სათანადო გამოყენებით გამონკვეული ცვეთა მხედველობაში არ მიიღება. ერთ-ერთი მოსაზრებით¹⁴⁰, „გ“ ქვეპუნქტი ანალოგიის წესით უნდა იქნეს გამოყენებული მაშინ, როდესაც მყიდველს ნაყიდი ნივთი მოჰპარეს.

გკ) ფულადი ანაზღაურების დაუშვებლობა

ფულადი ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ:

- ა) საგნის ის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იძლევა, ამ საგნის გადაამუშავების ან გარდაქმნის დროს აღმოჩნდა;
- ბ) საგნის გაფუჭება ან დაღუპვა კრედიტორის ბრალით მოხდა;¹⁴¹
- გ) საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისეთივე მზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც საკუთარ ნივთს, ხოლო ის, რაც დარჩა, უკან უნდა დაბრუნდეს.

„გ“ ქვეპუნქტი ცნობილია *diligentia quam in suis*-ის სახელწოდებით. მისი არსი ისაა, რომ მყიდველი თავისუფლდება ფულადი ანაზღაურების ვალდებულებისგან იმ შემთხვევაში, თუ ის დაამტკიცებს, რომ მან ისეთივე გულისხმიერება გამოიჩინა ამ საგნის მოვლა-პატრონობისას, როგორც საკუთარი ქონებისადმი.¹⁴² გსკ-ის მიხედვით, აღნიშნულ უფლებას მყიდველი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენებს, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონიდან (და არა ხელშეკრულებიდან) გამომდინარეობს.¹⁴³ სსკ მსგავს შეზღუდვას არ იცნობს. სსკ-ის 352-ე IV მუხლის „გ“ ქვეპუნქტის გამოყენება შეიძლება როგორც კანონით, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასვლის უფლების შემთხვევაში.

გვ) ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების კომბინაცია

ხელშეკრულებიდან გასვლა არ გამორიცხავს იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, რომელიც მყიდველს მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო. ეს პირდაპირ გამომდინარეობს სსკ-ის 407-ე მუხლიდან და გსკ-ის 325-ე პარაგრაფიდან. კრედიტორს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია დააყენოს გასვლის თაობაზე ნების გამოვლენის შემდეგაც.¹⁴⁴ რეფორმამდელი გერმანული სამართალი არ

¹⁴⁰ Gursky, 58-ე სქ., 26.

¹⁴¹ გსკ-ის 346-ე III პარაგრაფი, რომლის ანალოგიც სსკ-ის 352-ე IV მუხლია, „ბ“ ქვეპუნქტს შემდეგნაირად აყალიბებს: 'საგნის გაფუჭება ან დაღუპვა კრედიტორის ბრალით მოხდა, ან ზიანი მაინც დადგებოდა, ნივთი მასთანაც რომ ყოფილიყო.'

¹⁴² იხ. Gursky, 58-ე სქ., 27.

¹⁴³ Medicus, 66-ე სქ., 25.

¹⁴⁴ Canaris, JZ 2001, 499, 514; Jaensch, NJW 2003, 3613, 3614; Medicus, Jus 2003, 521, 524; ციტირებულია: Hutte/Helbron, 111-ე სქ., 176.

იცნობდა ამ მეორადი მოთხოვნის უფლებათა ასეთ კომბინაციას. ეს ინვევდა სიძნელებს, რადგან ხელშეკრულებიდან გასვლის ნაჩქარევი არჩევანი გზას უღობავდა კრედიტორს პოზიტიური ინტერესის ანაზღაურებაში.¹⁴⁵ ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ კრედიტორს უფლება აქვს, დააყენოს შემდეგი სახის მოთხოვნები: 1. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ვალდებულების შეუსრულებლობის გამო; 2. მოვალის მიერ ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება; 3. ნივთის ნაკლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.¹⁴⁶

სსკ-ის 407-ე II მუხლის მიხედვით, კრედიტორი ვერ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას ხელშეკრულებიდან გასვლისას, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. აღნიშნული ნორმა გაგებულ უნდა იქნეს როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დამაზუსტებელი ნინაპირობა. ვინაიდან მოვალის ბრალეული ქმედებით გამოწვეული ვალდებულების დარღვევა არის ზიანის ანაზღაურების, და არა ხელშეკრულებიდან გასვლის, აუცილებელი შემადგენელი ელემენტი.

V. ფასის შემცირება

ა) ფასის შემცირების ცნება

ფასის შემცირება ნასყიდობის სამართლის სპეციფიკური ინსტიტუტია. იგი განიხილება პრიორიტეტულად, ვინაიდან ხელშეკრულებიდან გასვლასთან შედარებით უფრო მსუბუქი ზომისა და გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორს კვლავ აინტერესებს ნასყიდობის საგანი (ნაკლიანი ნივთი).¹⁴⁷ ნასყიდობის ხელშეკრულების გაგრძელებისას იგი გულისხმობს ფასის იმ ოდენობამდე დაკლებას, რა ოდენობამდეც ამცირებს ნასყიდობის საგნის ღირებულებას ის ნაკლი, რომელიც ფიქსირდება ხელშეკრულების დადების დროს.¹⁴⁸

„ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შესახებ“ კანონმა აღნიშნული ინსტიტუტის მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია მოახდინა: 1. ფასის დაკლება შესაძლებელია როგორც უფლებრივი, ასევე უმნიშვნელო ნაკლის შემთხვევაში; 2. დამატებითი შესრულების პრიორიტეტულობის გამო პრინციპულად აუცილებელია დამატებითი ვადის დაწესება ნაკლის გამოსასწორებლად ან ნივთის ახლით შესაცვლელად; 3. ფასის შემცირება აღარ არის მოთხოვნა, იგი ხელშეკრულებიდან გასვლის მსგავსად კონსტრუირებულია როგორც „*Gestaltungsrecht*“;¹⁴⁹ 4. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების ერთ ან ორივე მხარეს მონაწილეობს რამდენიმე პირი, აუცილებელია, ნების გამოვლენა მოხდეს ყველას მიერ ან ყველას მიმართ.¹⁵⁰

სსკ-ის 492-ე მუხლის მიხედვით, თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას,¹⁵¹ მას შეუძლია, მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით,

¹⁴⁵ Prütting/Wegen/Weinreich, 31-ე სქ., 539.

¹⁴⁶ Palandt, 32-ე სქ., 526.

¹⁴⁷ ჩაჩავა, მე-13 სქ., 44.

¹⁴⁸ Palandt, 32-ე სქ., 641.

¹⁴⁹ *Gestaltungsrecht*-ის ცნება მოიცავს განსაზღვრული პირის უფლებამოსილებას, ცალმხრივად შეცვალოს, გააუქმოს ან დააზუსტოს სამართლებრივი ურთიერთობა მონაწილე მეორე მხარის თანხმობის ან მასთან ერთობლივი მოქმედების გარეშე. აღნიშნული მოქმედების განხორციელება დამოკიდებულია მხოლოდ უფლებამოსილი პირის ნებაზე. უფლების განხორციელება იმავდროულად ინვევს სამართლებრივ შედეგს. Jura 18, 1996, 1. ff., Die Gestaltungsrechte des Bürgerliches Rechts, Definition.

¹⁵⁰ Prütting/Wegen/Weinreich, 31-ე სქ., 699.

¹⁵¹ ტერმინ „მოშლასთან“ დაკავშირებით იხ. ქვეთავი „ხელშეკრულებიდან გასვლის ცნება“.

რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი.

ბ) ფასის შემცირების მიზანი

ფასის შემცირების მიზანია, გამოიწვიოს ნაკლის გამო შეთანხმებული ფასის დაკლება.¹⁵² ხელშეკრულებიდან გასვლისაგან განსხვავებით, ფასის შემცირება მიმართულია არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებაზე ფინანსური ადაპტაციის გზით.¹⁵³

გ) ფასის შემცირების სამართლებრივი ბუნება

გსკ-ის მიხედვით, ფასის შემცირება, ხელშეკრულებიდან გასვლის მსგავსად, კონსტრუირებულია არა როგორც მოთხოვნა, არამედ როგორც *Gestaltungsrecht*, რაც გულისხმობს, რომ ფასის შემცირების თაობაზე ნების გამოვლენა იწვევს ფასის უშუალო შემცირებას¹⁵⁴ იმ მომენტიდან, როგორც კი გამოვლენილი ნება გამყიდველთან მივა.¹⁵⁵ ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების განხორციელება უშუალოდ იწვევს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის რეორგანიზაციას ისე, რომ, რეფორმამდელი გსკ-ისაგან განსხვავებით (ძველი გსკ-ის 462-ე პარაგრაფი), არ სჭირდება გამყიდველის თანხმობა.¹⁵⁶

გსკ-ისაგან განსხვავებით, სსკ-ში ფასის შემცირება ჩამოყალიბებულია როგორც მოთხოვნა. ფასის შემცირება მყიდველმა შეიძლება მოითხოვოს, თუ მოცემულია სსკ-ის 492-ე მუხლით მოწესრიგებული წინაპირობები.¹⁵⁷ მოთხოვნის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ფასის შემცირება მოითხოვს არა მხოლოდ გამოვლენილი ნების მიღებას, არამედ თანხმობასაც გამყიდველის მხრიდან. სსკ-ის ფორმულირება ძველ გერმანულ ვალდებულებით სამართალთან უფრო ამყდავენებს მსგავსებას, ვიდრე ახალთან.

დ) შემცირებული ფასის გამოთვლა

შემცირებული ფასის გამოთვლისათვის უნდა მივმართოთ სსკ-ის 492-ე მუხლს. მყიდველმა ფასის შემცირება შეიძლება მოითხოვოს იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. „შემცირებული თანხა უნდა იყოს დაახლოებით იმ ოდენობის, რაც დასჭირდებოდა ნივთის ნაკლის გამოსწორებას.“¹⁵⁸ შესამცირებელი ფასის გამოთვლის აღნიშნული წესი კრიტიკრიუმად იღებს მხოლოდ ნაკლის გამოსწორებისათვის საჭირო თანხას და არაფერს ამბობს ფასის დაკლებაზე იმ ოდენობამდე, რაც ექნება ნივთს ნაკლიან მდგომარეობაში.

როგორც ჩანს, კანონმდებელი ამ ნორმის ფორმულირებისას ხელმძღვანელობდა იმ მოტივით, რომ მყიდველს ფასის დაკლება სჭირდება მხოლოდ იმიტომ, რათა ნივთი უნაკლო მდგომარეობაში მიიღოს იმავე დანახარჯებით, რაც მაშინ ჰქონდა გამიზნული, როდესაც ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებას ვარაუდობდა. თუმცა შესაძლებელია, მყიდველის ინტერესში ნაკლიანი ნივთის უცვლელ მდგომარეობაში მიღებაც შედიოდეს.

¹⁵² Gursky, 58-ე სქ., 26.

¹⁵³ Prütting/Wegen/Weinreich, 31-ე სქ., 682.

¹⁵⁴ Palandt, 32-ე სქ., 641.

¹⁵⁵ Gursky, 58-ე სქ., 27.

¹⁵⁶ Prütting/Wegen/Weinreich, 31-ე სქ., 700.

¹⁵⁷ ჩაჩავა, მე-13 სქ., 55.

¹⁵⁸ იქვე.

სსკ ნაკლიანი ნივთის მიწოდების შემთხვევაში ფასის შემცირების კიდევ ერთ სახესხვაობას იცნობს. სსკ-ის 493-ე მუხლის მიხედვით, თუ მყიდველი მიიღებს საქონელს იმაზე ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ფასს გადაიხდის სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად. „მყიდველს ფასის შემცირების უფლება აქვს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა საქონლის ღირებულება ნაკლის (ოდენობის დანაკლისის) გამო.“¹⁵⁹

გსკ შესამცირებელი ფასის გამოთვლის სრულიად სხვა ფორმულას გვთავაზობს. გსკ-ის 441-ე III პარაგრაფის მიხედვით, ფასის შემცირება გულისხმობს შეთანხმებული ფასის პროპორციულ დაკლებას. მყიდველმა მხოლოდ ის თანხა უნდა გადაიხადოს, რომლის გადახდასაც სავარაუდოდ დაუშვებდა, ნაკლის შესახებ რომ ჰქონოდა ინფორმაცია.¹⁶⁰ შემცირებული ფასის გამოთვლა ხორციელდება არა მარტივად ნასყიდობის საგნის მინიმალური ღირებულების შეფარდებით ამ ნივთის ჰიპოთეზურ ღირებულებასთან უნაკლო მდგომარეობაში, არამედ გაითვალისწინება ის ფაქტიც, ნივთის უნაკლო თვისებრიობის შემთხვევაში მყიდველი მოგებიან თუ არამოგებიან ხელშეკრულებას დადებდა.¹⁶¹ შემცირებული ფასი გამოითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასისა და მიწოდებული ნაკლიანი ნივთის რეალური ფასის ნამრავლის შეფარდებით უნაკლო მდგომარეობაში მყოფი მსგავსი ნივთის საბაზრო ღირებულებასთან.¹⁶²

ე) ფასის შემცირების წინაპირობები

ისევე როგორც ყველა მეორადი მოთხოვნის უფლების განხორციელებისას, ფასის შემცირებისთვისაც საჭიროა ერთდროულად რამდენიმე წინაპირობის არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მის გამოყენებას მყიდველის მხრიდან. ამასთან, მხედველობაში მიიღება ყველა მეორადი მოთხოვნის უფლებისათვის საჭირო წინაპირობები იმ სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ახასიათებს ფასის შემცირებას.

აა) მიმართება დამატებით შესრულებასა და ხელშეკრულებიდან გასვლასთან

სსკ-ის 492-ე მუხლი მყიდველს ფასის შემცირების მოთხოვნის უფლების დაყენების შესაძლებლობას აძლევს იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას.

მუხლის შინაარსიდან ორი მნიშვნელოვანი დეტალი იკვეთება: 1. დამატებითი შესრულება პრიორიტეტულია ფასის შემცირებასთან მიმართებით, ვინაიდან მისი განხორციელება მხოლოდ ნაკლის გამოსწორებისათვის დაწესებული ვადის უშედეგო გასვლის შემდეგ არის შესაძლებელი და 2. როგორც დამატებითი შესრულების, ისე ხელშეკრულებიდან გასვლის

¹⁵⁹ იქვე, 56.

¹⁶⁰ Gursky, მე-60 სქ., 27.

¹⁶¹ იქვე.

¹⁶² Medicus, 66-ე სქ., 25. პრაქტიკული მაგალითის ფონზე ფასის შემცირების ეს ფორმულა უფრო თვალსაჩინო გახდება: ა-მ იყიდა ბ-საგან მანქანა 10000 ლარად, რომლის ღირებულება უნაკლო მდგომარეობაში არის 12000 ლარი. თუმცა მანქანის რეალური ღირებულება ნაკლის გამო 9000 ლარია. შემცირებული ფასის გამოსათვლელად აუცილებელია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა 10000 ლარი გავამრავლოთ ნაკლიანი მანქანის რეალურ ღირებულებაზე, ანუ 9000 ლარზე და მიღებული შედეგი, ანუ 90000000 გავყოთ მანქანის ღირებულებაზე უნაკლო მდგომარეობაში, ანუ 12000 ლარზე. მივიღებთ 7500 ლარს. ფასის შემცირების წესების თანახმად, ა-ს უფლება აქვს, მოითხოვოს ზედმეტად გადახდილი 2500 ლარის უკან დაბრუნება.

მოთხოვნა გამორიცხავენ ფასის შემცირებას, რაც ამ უკანასკნელს წინა ორი მეორადი მოთხოვნის უფლების ალტერნატივად წარმოაჩენს.

გსკ-ის 441-ე პარაგრაფის მიხედვით, ფასის შემცირების გამოყენება მყიდველს შეუძლია მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის ნაცვლად.¹⁶³ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება წარმოშობილი უნდა იყოს ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლის გამო, ვინაიდან 441-ე I პარაგრაფის 1-ლი ქვეპუნქტი მიუთითებს „ნაცვლად გასვლისა“. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება უნდა წარმოიშვას და ასევე არსებობდეს, კერძოდ არ უნდა იყოს შეწყვეტილი (437-ე პარაგრაფი), მყიდველი კი არ უნდა იყოს პასუხისმგებელი ნაკლისათვის (326-ე V პარაგრაფი, 323-ე VI პარაგრაფი).¹⁶⁴

ბბ) უმნიშვნელო ნაკლი

მიუხედავად იმისა, რომ ფასის შემცირებას იგივე წინაპირობები აქვს, რაც ხელშეკრულებიდან გასვლას,¹⁶⁵ ფასის შემცირება მაშინაც შესაძლებელია, როდესაც ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა.¹⁶⁶ რადგან ფასის შემცირების სამართლებრივი შედეგები არც ისე რადიკალურია, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლისა – ანუ ხდება არა ხელშეკრულების ანულისება, არამედ მხოლოდ ადაპტირება – და ასევე უმნიშვნელო ნაკლის შემთხვევაში შეთანხმებული ფასისა და საპასუხო შესრულების ეკვივალენტურობა ირღვევა, მყიდველს შეუძლია, უმნიშვნელო ნაკლის შემთხვევაში დააკლოს ფასი.¹⁶⁷ გსკ-ის 441-ე I პარაგრაფის მე-2 ქვეპუნქტი ცალსახად მიუთითებს ფასის შემცირების შემთხვევაში 323-ე V პარაგრაფის მე-2 ქვეპუნქტის გამოყენების დაუშვებლობაზე, რომელიც გამორიცხავს ხელშეკრულებიდან გასვლას, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა.

უმნიშვნელო ნაკლი ფასის შემცირებისას გამომრიცხავი გარემოება რომ არის, ეს გერმანულ სამართალში არა მხოლოდ თეორიული მოსაზრებებითაა გამყარებული, არამედ პირდაპირ საკანონმდებლო ნორმის მოთხოვნაა. მის საპირისპიროდ სსკ არ შეიცავს მსგავს ჩანაწერს, რომელიც გაამართლებდა ფასის შემცირებას ასევე უმნიშვნელო ნაკლის შემთხვევაში. თუმცა, 492-ე მუხლის მიხედვით, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ფასის შემცირება შესაძლებელია მაშინაც კი, თუ ნაკლის აღმოფხვრა მცირედი თანხითაა შესაძლებელი.

ცალსახაა, რომ უმნიშვნელო ნაკლი არც სსკ-ის მიხედვითაა ფასის შემცირების გამომრიცხავი გარემოება. თუმცა, გსკ-ისაგან განსხვავებით, ეს არა პირდაპირი ჩანაწერიდან, არამედ ნორმის ახსნა-განმარტებიდან გამომდინარეობს.

გგ) ვადის დაწესება (ვადის დაწესების ამაოება)

გარდა იმისა, რომ ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთი უნდა იქნეს გადაცემული, აუცილებელია, მყიდველს განსაზღვრული ჰქონდეს ვადა დამატებითი შესრულებისათვის, რომელიც უშედეგოდ გავიდა.¹⁶⁸ ვადის დაწესების ამაოებასთან დაკავშირებით გამოიყენება

¹⁶³ Gursky, 58-ე სქ., 27.

¹⁶⁴ Palandt, 32-ე სქ., 641.

¹⁶⁵ Gursky, 58-ე სქ., 27.

¹⁶⁶ Prütting/Wegen/Weinreich, 31-ე სქ., 700.

¹⁶⁷ Begründung RegE BT-Drs. 14/6040, 235; Zimmer in: Ernst/Zimmermann, 191, 200; Zimmer/Eckhold, Jura 2002, 145, 151; ციტირებულია: Held, მე-60 სქ.

¹⁶⁸ Bamberger/Roth/Faust, §441 Rn.3. ციტირებულია: Held, მე-60 სქ.

იგივე მუხლები, რაც ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით, კერძოდ: სსკ-ის 405-ე II მუხლი და გსკ-ის 323-ე II პარაგრაფი; 440-ე პარაგრაფი. ცალკეულ შემთხვევაში სადავოა ის, თუ რამდენად შესაძლებელია, ვადის დაუცველად მოხდეს ფასის შემცირება ე.წ. „ვადაზე დამყარებული გარიგებისას.“¹⁶⁹ აღნიშნულ შემთხვევაში უარყოფილ იქნა მყიდველის დაცვის ღირსი ინტერესი ფასის მყისიერ შემცირებაზე.¹⁷⁰ განსხვავებით გასვლისაგან, როდესაც მყიდველი იძულებულია, სხვაგვარად დაიკმაყოფილოს ის ინტერესი, რომელიც ჰქონდა ვალდებულების შესრულების მიმართ და ვალდებულების შესრულების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მყიდველი არ უნდა იყოს უფლებამოსილი, შეინარჩუნოს ნაკლიანი ნივთი და შეამციროს ფასი.¹⁷¹

გერმანული მართლმსაჯულება ვადის დაწესებას ამაოდ მიიჩნევს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც, მართალია, ნაკლი აღმოფხვრას ექვემდებარება, მაგრამ ხელშეკრულების დადების დროს გამყიდველი ნივთის ნაკლის თაობაზე ბოროტი განზრახვით დუმდა,¹⁷² ასეთ შემთხვევაში მყიდველს უფლება აქვს, ვადის დაუცველად მოითხოვოს ფასის შემცირება გსკ-ის 323-ე II პარაგრაფის მე-3¹⁷³ და 441-ე I პარაგრაფის 1-ლი ქვეპუნქტების საფუძველზე.

დ) ფასის შემცირების დაუშვებლობა

ფასის შემცირება, ისევე როგორც დანარჩენი მეორადი მოთხოვნის უფლებები, არ შეიძლება გამორიცხული იყოს ხელშეკრულების ან კანონის ნორმების საფუძველზე. როგორც სსკ, ასევე გსკ განსხვავებულ რეგულირებას არ გვთავაზობს ფასის შემცირებასთან მიმართებით. ამიტომ მხედველობაში მიიღება სსკ-ის 497-ე მუხლი და გსკ-ის 444-ე პარაგრაფი.

რაც შეეხება ფასის შემცირების გამორიცხვას კანონის ძალით, აქაც გამოიყენება ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმები ხელშეკრულებიდან გასვლის გამორიცხვის თაობაზე, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ფასის შემცირება შესაძლებელია ასევე უმნიშვნელო ნაკლის შემთხვევაშიც.

ე) ნების გამოვლენა ფასის შემცირებაზე

სსკ-ის მიხედვით, ფასის შემცირება ჩამოყალიბებულია მოთხოვნის სახით. აუცილებელია, რომ გამოვლენილი ნება მიუვიდეს გამყიდველს და იგი დაეთანხმოს მყიდველის მოთხოვნას.

რაც შეეხება გსკ-ს, ფასის შემცირება ჩამოყალიბებულია როგორც „*Gestaltungsrecht*“.¹⁷⁴ იგი ხორციელდება მყიდველის მხრიდან ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვ-

¹⁶⁹ *Held*, მე-60 სქ.

¹⁷⁰ *Bamberger/Roth/Faust*, §440 Rn.23; §441 Rn.5; ციტირებულია: *Held*, მე-60 სქ.

¹⁷¹ *Held*, მე-60 სქ.

¹⁷² *Recht des Käufers zur sofortigen Minderung des Kaufpreises wegen eines behebbaren Mangels bei einem arglistigen Verschweigen des Mangels durch den Verkäufer*, BGH Beschluss vom 8. Dezember 2006 – V ZR 249/05, BGH NJW 2007, 835, <http://lexitius.com/2008, 6, 14.01.2008>. უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება დაეფუძნა ცხენის ნასყიდობის ხელშეკრულებას: მოსარჩელემ მოპასუხისაგან იყიდა იაბო „დიოკლეტიანი“, როგორც საჯირითო ცხენი, 45000 ევროდ. იგი ითხოვდა გადახდილი თანხის ნახევრის უკან დაბრუნებას იმ მოტივით, რომ იაბო იყო ნაკლიანი, რადგან არაპროფესიონალური კასტრაციის გამო წელში ილუნებოდა და, აქედან გამომდინარე, საჯირითოდ ვერ გამოდგებოდა.

¹⁷³ გსკ-ის 323-ე II პუნქტის 3-ის მიხედვით, ვადის დაწესება ამაოა, როდესაც არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით ამართლებენ დაუყოვნებლივ გასვლას ხელშეკრულებიდან.

¹⁷⁴ *Medicus*, 66-ე სქ., 26.

¹⁷⁵ *Palandt*, 32-ე სქ., 641.

ლენით,¹⁷⁵ ხორციელდება უპირობოდ და აღარ შეიძლება მისი უკუხმობა მისვლის მომენტიდან.¹⁷⁶ თუ ხელშეკრულების ერთ ან ორივე მხარეს რამდენიმე პირი მონაწილეობს, ფასის შემცირების თაობაზე ნება ყველას მიერ ან ყველას მიმართ უნდა იქნეს გამოვლენილი.¹⁷⁷

ვ) სამართლებრივი შედეგები

მყიდველის მხრიდან ნების გამოვლენა ფასის შემცირების თაობაზე იწვევს მხოლოდ შეთანხმებული ფასის ცვლილებას, ნასყიდობის ხელშეკრულება კი რჩება უცვლელი მასში გათვალისწინებული ყველა მოვალეობით.¹⁷⁸ შემცირებული ფასი შეიძლება შეესაბამებოდეს მყიდველის მიერ მოთხოვნილ ოდენობას, თუმცა ეს სავალდებულო არ არის,¹⁷⁹ ვინაიდან როგორც სსკ, ასევე გსკ შემცირებული ფასის გამოთვლისას ემყარებიან ობიექტურ კრიტერიუმს.

აა) ფასის დაკლება

ფასის შემცირების მთავარი სამართლებრივი შედეგი ხელშეკრულებით თავდაპირველად გათვალისწინებული ფასისაგან განსხვავებული თანხის გადახდაა მყიდველის მიერ. ამასთან, თუ გსკ-ის მიხედვით, ფასი მცირდება იმ მომენტიდან, როდესაც გამყიდველს გამოვლენილი ნება მიუვა¹⁸⁰, სსკ-ის შესაბამისად, აუცილებელია, გამყიდველმა გამოვლენილი ნება არა მარტო მიიღოს, არამედ დაეთანხმოს მას.

ბბ) ნივთის საბაზრო ღირებულების განულება

განსაკუთრებულ შემთხვევად ითვლება, როდესაც მიწოდებული ნივთი იმდენად ნაკლიანი აღმოჩნდება, რომ მისი საბაზრო ღირებულება ნულს უტოლდება. ამ შემთხვევაში წყდება გამყიდველის ვალდებულება, გადაიხადოს ფასი,¹⁸¹ ხოლო შემცირებული ფასი უტოლდება ნასყიდობის ხელშეკრულებით თავდაპირველად გათვალისწინებულ ფასს.¹⁸² აღნიშნულს იგივე შედეგი მოჰყვება, რაც ხელშეკრულებიდან გასვლას, თუმცა, ხელშეკრულებიდან გასვლისაგან განსხვავებით, ფასის შემცირების დროს მყიდველი ნაყიდ ნივთს ინარჩუნებს. იმისათვის, რათა არ მოხდეს მყიდველის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება, გაბატონებული მოსაზრების მოხედვით¹⁸³, ანალოგიის წესით გამოყენებულ უნდა იქნეს ნორმები ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე და მყიდველმა გადასცეს გამყიდველს მოთხოვნის შემთხვევაში ნივთი.

გგ) ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება

იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველმა უკვე გადაიხადა თანხა, რომელიც აღემატება იმ ოდენობას, რაც ფასის შემცირების შემდეგ თავიდან განისაზღვრა, როგორც ნასყიდობის

¹⁷⁶ იქვე.

¹⁷⁷ Prütting/Wegen/Weinreich, 32-ე სქ., 700.

¹⁷⁸ Held, მე-60 სქ.

¹⁷⁹ Palandt, 32-ე სქ., 642.

¹⁸⁰ იქვე, 641.

¹⁸¹ Prütting/Wegen/Weinreich, 31-ე სქ., 701.

¹⁸² Held, მე-60 სქ.

¹⁸³ Palandt/Putzo, §441 Rn. 16; Erman/Grunewald, §441, Rn. 6; Bamberger/Roth/Faust, §441 Rn. 27; a.A. Soergel/Huber, §472, Rn.14; Hirner, Minderung, 167 ff.; ციტირებულია: Held, მე-60 სქ.

საგნის ფასი, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება ხელშეკრულებიდან გასვლის წესების შესაბამისად.¹⁸⁴

VI. დასკვნა

წარმოდგენილი ნაშრომიდან იკვეთება, რომ სსკ-ის შექმნისას ქართველი კანონმდებლის მიერ ბევრი ისეთი ნოვაცია იქნა გათვალისწინებული, რაც გსკ-ში ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შემდეგ შეიტანეს. ეს ცხადყოფს, რომ კანონშემოქმედებითი საქმიანობა საქართველოში არა მხოლოდ გსკ-ს ეყრდნობოდა, არამედ მიმდინარეობდა ინტენსიური თანამშრომლობა გერმანიის სამეცნიერო წრეებთან და სასამართლო კორპუსთან. სწორედ ამან განაპირობა ყველა იმ პრინციპის მაქსიმალური ასახვა სსკ-ში, რაც გსკ-ში მოგვიანებით, 2002 წელს, იქნა გათვალისწინებული. ნაშრომიდან შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება:

1. მიზანშეწონილი იქნება, ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ თავში შეტანილ იქნეს მუხლი, რომელიც დაანესებს ხანდაზმულობის სპეციალურ (შემჭიდროებულ) ვადებს მყიდველის მეორადი მოთხოვნის უფლებებისათვის. აღნიშნული უზრუნველყოფს ზოგადი ნაწილისაგან განსხვავებული რეგულირების დადგენას ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნის უფლებებისათვის, რაც მართებულია სამოქალაქო ბრუნვაში ნასყიდობის განსაკუთრებული ადგილის გამო;

2. მნიშვნელოვანია ასევე, ხანდაზმულობის სპეციალური ვადების შესახებ მუხლში აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა (მისი სამართლებრივი ბუნების გამო) არ ექვემდებარება ხანდაზმულობას, თუმცა მყიდველის აღნიშნული უფლება ქარწყდება, თუ ხანდაზმულია დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლება და გამყიდველი ამას ეყრდნობა;

3. აუცილებელია გაფართოვდეს წინაპირობათა წრე, რომელთა არსებობისას ხელშეკრულებით შეთანხმებული გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვა ბათილად ჩაითვლება. ასეთ გარემოებად კი უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ გამყიდველის მიერ ნივთის ნაკლის განზრახ დამალვა, არამედ ის შემთხვევაც, როცა მან ნივთის თვისებრიობის თაობაზე გარანტია გასცა. ამიტომ სსკ-ის 497-ე მუხლი სასურველია შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს: „ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს ან გამორიცხოს გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას, მაგრამ ასეთ შეთანხმებას გამყიდველი ვერ დაეყრდნობა, თუ იგი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ, ან ნივთის თვისებრიობის თაობაზე გარანტია გასცა“;

4. ტერმინოლოგიური უზუსტობის თავიდან აცილების მიზნით, სსკ-ის 491-ე-492-ე მუხლებში, ნაცვლად „ხელშეკრულების მოშლისა“, მიეთითოს „ხელშეკრულებიდან გასვლა“. ეს ფაქტი კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება სსკ-ის 491-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც მიუთითებს ხელშეკრულებიდან გასვლის, და არა მოშლის, სამართლებრივ შედეგებზე;

5. მიზანშეწონილია, ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ თავში შეტანილ იქნეს სპეციალური მუხლი, რომელიც ასევე გამორიცხავს დამატებითი ვადის დანესების აუცილებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი დამატებითი შესრულების ორივე სახეს უარყოფს სსკ-ის 490-ე III მუხლის შესაბამისად, ან, როდესაც დამატებითი შესრულება შეუძლებელია;

6. აუცილებელია, სსკ-ის 405-ე მუხლმა დააკონკრეტოს გაფრთხილების ფუნქცია. გაფრთხილებამ უნდა დაიკავოს დამატებითი ვადის დანესების ადგილი იმ შემთხვევაში, როდესაც, ამავე მუხლის II ნაწილის მიხედვით, დამატებითი ვადის დანესება არ არის აუცილებელი, და არა გამორიცხოს გაფრთხილების საჭიროება, როგორც ეს სსკ-ის 405-ე II მუხლშია ფორმულირებული;

7. სსკ-ის 492-ე მუხლს დაემატოს წინადადება, რომლის მიხედვითაც ფასის შემცირება (განსხვავებით გასვლისაგან) მაშინაც იქნება შესაძლებელი, როდესაც ნაკლი უმნიშვნელოა.

¹⁸⁴ Prütting/Wegen/Weinreich, 31-ე სქ., 701.